საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდეული სიფცეა, ფცეილებით და ჭიანებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი. 2019 წ. №200 (8866) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვინ ვის „ულოკავს ფეხებს?!“

ნაცები – ერის სხეულზე აცოცებული „ღორის ტილები“

6

ანო ფოლის შოჯნაზე აკებული ჰოლოცეკი

ეზოსა ამერიკიდან

The Washington Times

გიორგი გახარიას რთული გზა ელოდება, ამ გზის გავლის უნარი აქვს, რისთვისაც

8

თავისი ერის, ევროპის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის მხარდაჭერა დასჭირდება

„სავარაუდოდ, ხაზარაძე პოლიტიკაში მიდის საკუთარი ბიზნესის

3 **დასაცავად,** ან – 9

კოალიციაში, ალბათ, ივანიშვილთან“...

წამლები 1 ლარად...

5

ფაა-ფუ?!

წულუკიანმა კახიძეს ნიღაბი ჩამოხსნა

2

ქუთაისი

ბევრჯერ

4

განიორწყლებული პრობლემა

ჯიმი ჩარკვიანი:

კედელზე ჯანსულის გამოუქვეყნებელ ლექსს წავაწყდი...

7

„გარდიანი“: გია ყანჩელის მუსიკა გარინდებას და სილამაზეს აერთიანებდა

გიორგი გახარია: როგორც კი არჩევნებს მოვიგებთ!..

ეს არის ჩემი პრინციპი და ამ პრინციპით ვმუშაობდი და გავაგრძელებ მუშაობას. ჩათვალეთ, რომ არჩევნებისთვის დღესაც ვემზადები, გუშინაც ვემზადებოდი და ხვალისთვისაც მოვემზადები, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც ეხებოდა კავშირს ვანო ზარდიაშვილის მანდატის დატოვებასა და მომავალ არჩევნებს შორის.

„ამ ფაქტის არჩევნებთან კავშირს არ ვადასტურებ. მეორე, როგორც კი არჩევნებს მოვიგებთ, შემდგომი არჩევნებისთვის ვიწყებთ მზადებას“, – განაცხადა გიორგი გახარიამ. ვანო ზარდიაშვილმა გუშინ პარლამენტის დატოვების შესახებ განაცხადა.

რუსეთიდან ფრენების სუბსიდირებას არ განვიხილავთ

– **ამის** შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ასევე გუშინ განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსთვის სუბსიდირების ფორმები უნდა იყოს კომერციულად უფრო საინტერესო და მისაღები ტურიზმის განვითარებისთვის.

„ფრენების სუბსიდირების ნაწილში მიმართულებები იყო ძირითადად ქუთაისის აეროპორტიდან. დღეს ჩვენ დაახლოებით 50 წერტილი გვაქვს ევროპაში, სადაც პირდაპირი ფრენები გვაქვს. პირდაპირი ფრენები არის ყველაზე ეფექტური და სწრაფი ინსტრუმენტი, რომ მაქსიმალურად გავზარდოთ ტურისტების რაოდენობა ქვეყანაში. ამ ინსტრუმენტს ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვიყენებთ შემდგომში. ქვეყნისთვის სუბსიდირების ფორმები უნდა იყოს კომერციულად უფრო საინტერესო და მისაღები ტურიზმის განვითარებისთვის, თუმცა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც კარგად მუშაობს“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარება ბიზნესის გარემოზეა დამოკიდებული

საბოლოო მიზანი არის ძალიან მარტივი – **მეტი ტურისტი ქვეყანაში, მეტი შემოსავალი, მეტი სამუშაო ადგილი და, რა თქმა უნდა, ქვეყნის მეტი ცნობადობა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა. მისი თქმით, ეკონომიკის სწრაფი და, რაც მთავარია, მდგრადი განვითარება დამოკიდებულია, პირველ რიგში, ბიზნესგარემოზე, მის განვითარებაზე და შესაბამისად იმაზე, რამდენად სწრაფად და ეფექტურად შეძლებს ბიზნესი სამუშაო ადგილების შექმნას.

„დავიწყეთ საუბარი ტურისტული სექტორით, რადგან ბოლო წლების განმავლობაში ეს იყო ყველაზე დიდი გარღვევა, ყველაზე დიდი ზრდა გვაქვს აქ და, რაც მთავარია, გადაცემის ეფექტი ამ დარგს აქვს ყველაზე დიდი. მოგეხსენებათ, რომ 2018 წელი ჩვენ დავამთავრეთ დაახლოებით 7 მილიონზე მეტი ვიზიტორით ქვეყანაში და დაახლოებით 3,2-3,3 მილიარდი დოლარი შემოსავლებით ჩვენი ეკონომიკისთვის. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა გამოწვევები ძალიან ბევრია, რომელზეც დღეს ჩვენ აქ უნდა ვისაუბროთ. უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი ნაბიჯი სექტორში არ იქნება გადადგმული თქვენთან საუბრის გარეშე. ეს იქნება წესი, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვიმოქმედებთ. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რა არის მთავრობის ფუნქცია აქ.

მთავრობის ფუნქცია არის თქვენთან ერთად იზრუნოს ბაზრების დივერსიფიცირებაზე, ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნაზე და დარგში საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა“, – აღნიშნა პრემიერმა.

ზაზა ხუციშვილი: 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის პენსიის დამატებით ზრდა იანვრიდანვე რატომ არ მოხერხდა?

საპარლამენტო **უმრავლესობის დეპუტატი ზაზა ხუციშვილი დაინტერესდა, რატომ არის 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის პენსიის დამატებით 30-ლარიანი ზრდა მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული პირველი ივლისიდან და არა წლის დასაწყისიდან.**

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ ამის რესურსი, რასაც დაახლოებით 80 მლნ ლარი სჭირდებოდა, მომავალი წლის დასაწყისში არ იყო.

„რაც შეეხება იმას, რომ 70 წელს მიღწეული და შემდეგ პენსიონერები კიდევ დამატებით 30 ლარს პირველი ივლისიდან მიიღებენ და არა პირველი იანვრიდან, სამწუხაროდ, არ გვეყო რესურსი, დამატებით დაახლოებით 80 მლნ ლარი უნდოდა ამას და რესურსი ვერ გამოიძებნა. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ პირველი ივლისიდან მიიღებენ. რაც შეგვეძლო, გადაგვენაწილებინა და მაქსიმალურად ადრე დაგვეწყო, დავიწყეთ თითოეული მიმართულებით – ეს იქნება პოლიციელების ხელფასი, სასწრაფოს თანამშრომლების ხელფასი თუ პენსიების დამატებითი ზრდა. საიდანაც შესაძლებელი იყო, რესურსი გვქონოდა, იმ თვიდან დავიწყეთ და ამიტომ გადავიდა სხვადასხვა თვეში. მეტი ფული რომ გვქონოდა, რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, პირველი იანვრიდან დაგვეწყო პენსიების დამატებითი ზრდა“, – აღნიშნა გიორგი კაკაურიძემ.

კახა კალაძე ტაქსებზე გადამეტებული ფასების „დარეგულირებას“ გვპირდება...

კითხვაზე, ტაქსით მგზავრობის საფასური გაიზარდა და გამოწვეულია თუ არა ეს ტაქსების რეფორმით, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე კომუნიკაცია შესაბამის კომპანიებთან გაიმართა და პრობლემა აღმოფხვრილია.

„თუ არის რიგი შემთხვევები გადამეტებული ფასების შესახებ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს დარეგულირდეს! მისივე თქმით, დედაქალაქის მთავრობის მთავარი მიზანი არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმა და არსებული პარკის ჩანაცვლება.

„ჩვენი ამოცანაა ავტობუსების არსებული პარკის ჩანაცვლება, რომელიც არის უმძიმეს, კატასტროფულ მდგომარეობაში და ყველანაირი რესურსი ამოწურულია. ეს პროცესი დაწყებულია. ჩვენი ამოცანაა მიკროავტობუსების ჩანაცვლება. დარწმუნებული ვარ, ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის შემდეგ გაიზრდება მოთხოვნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, პარალელურად ხდება ტაქსების რეფორმა და მთავარი ამოცანა არის, რომ ვინც სარგებლობს ტაქსის სერვისით, მისთვის ეს იყოს კომფორტული, სუფთა, ახალი, უსაფრთხო ავტომანქანა. საბოლოო ჯამში ამან შეიძლება გამოიწვიოს ტაქსის გაძვირება და ეს ნორმალურია. თუ ვინმეს ეს პრობლემა ექნება, იქნება ავტობუსები, იქნება მეტრო, რეაბილიტირებული ახალი ვაგონებით. ეს რთული პროცესი ჩვენ დაწყებული გვაქვს...

წულუკიანმა კახიძეს ნიღაბი ჩამოხსნა

ოთარ კახიძემ საქართველოს გენერალური პროკურორის, უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობის კანდიდატის შალვა თადუმაძის იურიდიულ დიპლომთან დაკავშირებით განაცხადა: წულუკიანი ისე დანიშნეს გენერალურ პროკურორად, მას იურისტის დიპლომი არ ჰქონია, ახლა კი მეორე სერიაა. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „ევროპული საქართველოს“ დეპუტატის ოთარ კახიძის განცხადებას ჩვეული იუმორით უპასუხა:

„მე ასე ვიტყოდი: შენ ისეთი დიდი იურისტი ხარ, დიდი დიპლომით, ოთარ, რომ ვანო მერაბიშვილის საქმეზე პირწმინდად დამარცხდი ჩემ წინააღმდეგ სტრასბურგში და იმედად ისღა დაგრჩა, საკნიდან გაიყვანესო, ამ ეპიზოდსღა ეპოტინები. იმას მაინც ვერ იძახი, გაიყვანეს და ცემესო, ანდა გაიყვანეს და აწამესო,ან კიდევ გაიყვანეს და ცოცხით შეურაცხყვესო, და ეს გწყინს, მაგრამ ვერ იტყვი და რას იზამ.

ვანო პოლიტიკური პატიმარი არ არისო, მისი პოლიტიკური სცენიდან გაყვანის მიზანი საერთოდ არ ჰქონია ხელისუფლებასო, დაკავებაც კანონიერი იყო და პატიმრობაცო, ეს თქვა სტრასბურგმა იმის მიუხედავად, რომ ძალიან დიდი დიპლომი გედო ჯიბეში და არაკომპეტენტურად ცდილობდი სასამართლოს შეცდომაში შეყვანას.

ბევრი ფულიც მიიღე ჰონორარად „საწყალი“ პატიმრისგან და სტრასბურგის სასამართლოს სთხოვდი, ამინაზღაურეთ ეს თანხაო: 202 საათი ვიმუშავე ამ საქმეზე, რაც ჯამში 39 390 აშშ დოლარი დამიჯდაო (საკუთარი თანამებრძოლის დასაცავად, ამის დათვლა მაინც არ დაგეზარა, ბიჭო?). სასამართლომ სრულად უარყო ეს შენი მოთხოვნა, ბევრ სხვასთან ერთად.

ახლა, რაღა დაგრჩა, აბა. თებერვალში დაუსრულდება მისჯილი სასჯელი მერაბიშვილს და რომ გამოვა, მერე მაინც გასცემ ალბათ პასუხს მას იმის შესახებ, თუ რას ატყუებდი, რაში ვერ და არ დაიცავი და რატომ.

ჰოდა, მოემზადე, ლუზერო!“.

აზარტულ თამაშებს სჭირდება ისეთი რეგულირება, რომ დაცული იყოს ჩვენი საზოგადოება

აზარტული **თამაშები არის სოციალური პრობლემა, რომელსაც კომპლექსური მიდგომა და დარეგულირება სჭირდება ისე, რომ დაცული იყვნენ არასრულწლოვნები და დაცული იყოს ჩვენი საზოგადოება,** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ამ პრობლემასთან კომპლექსური მიდგომაა საჭირო – განათლება, ახალგაზრდების დასაქმება, სპორტი, სამართალდამცავი კომპონენტი, ფსიქოლოგიური დახმარება და ეკლესიის მონაწილეობა.

საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით...

საქართველოს **მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს 9348 საქართველოს მოქალაქემ მიმართა. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მიხეილ სარჯველაძემ განაცხადა.**

როგორც სარჯველაძემ აღნიშნა, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც არიან, მაგრამ ჯერ არ შეჩერებიათ საქართველოს მოქალაქის სტატუსი, 2019 წლის 15 აგვისტომდე შეესაძლებლობა ჰქონდათ, მიემართათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის და მოეთხოვათ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებას 4 ოქტომბერს მოაწერა ხელი. ამ ცვლილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნის ვადა 2020 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, 2019 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. აკადემიკოს **ავთანდილ კორახაშვილს** — ლეონარდე დე-კაპრელევიჩის სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომისათვის **„აგროტექნოლოგიური ნორმატივები.“**

2. პროფესორ **დუდანა გაჩეჩილაძეს** — ფრიდონ თოდუას სახელობის აკადემიური პრემია ნაშრომისათვის **„ექსტრაკრანიული სისხლძარღვთა პათოლოგიების არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

რუსეთი საქართველოსგან ბოდიშს ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საჯაროდ უნდა მოიხადოს ბოდიში ანტირუსული გამონათქვამების გამო, უარყოს ისინი და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე საუბარი, — განაცხადა რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ვიაჩესლავ ვოლოდინმა.

„საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც საჯაროდ უწოდა რუსეთს აგრესორი ქვეყანა, უნდა უარყოს ეს ბრალდება, მოიხადოს ბოდიში, და განმარტოს თავისი პოზიცია. როგორ შეიძლება ურთიერთობების განვითარება მაშინ, როდესაც საქართველოს ხელმძღვანელობა ასე იქცევა?“ — თქვა მან.

ვოლოდინმა ასევე მიაქცია ყურადღება იმას, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ანტირუსული ინიციატივებით, როგორც წესი, გამოდიან აშშ-ის სატელიტი ქვეყნები — ბალტიის სახელმწიფოები, პოლონეთი, უკრაინა და საქართველო.

„ისინი რომ სერიოზულ განვითარებაზე ფიქრობდნენ, არასდროს არ წავიდოდნენ ამგვარ ნაბიჯებზე. რისთვისაა საჭირო კონფლიქტები, როდესაც შესაძლებელია ურთიერთობების აწყობა გასაგებ პრინციპებზე, ურთიერთპატიცისცემის, კეთილმეზობლობის და შიდა საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე?“ — მიიჩნევს ვოლოდინი.

რუსი დეპუტატი პარალელს ავლებს საქართველოს და უკრაინას შორის.

„უკრაინა ვერ განვითარდება რუსეთის მიმართ აგრესიული პოზიციის შენარჩუნების პირობებში. ჩვენ გვაერთიანებს უზარმაზარი საზღვარი, სავაჭრო, კულტურული, ისტორიული კონტაქტები. შეუძლებელია ჩვენს შორის კედლის აგება“ — დარწმუნებულია სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი.

მისი თქმით, ქვეყნები, რომლებიც რუსეთთან კონფლიქტის ესკალაციას ახდენენ, საკუთარ თავს უზარმაზარ პრობლემებს უქმნიან — როგორც ეს საქართველოს მოუვიდა.

„დაიწყო ამ ქვეყანასთან ურთიერთობების ნელა-ნელა გამოსწორება, თუმცა, ვიღაცას დასჭირდა თბილისში კონფლიქტის მოწყობა, როდესაც რუსეთის დელეგაცია ჩავიდა თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე. საქართველოს პრეზიდენტმა კი, იმის ნაცვლად, რომ ჩარეულიყო და დაეგმო მომხდარი, რუსეთი აგრესორად გამოაცხადა“ — განაცხადა ვოლოდინმა.

მისი თქმით, სწორედ პრეზიდენტი აგებს პასუხს ქვეყანაში უცხოური დელეგაციების უსაფრთხოების საკითხებზე.

„დღეს ის დუმს, არაფერს არ ამბობს. ქართველი საზოგადოება ამბობს — ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები. ახლა ხელისუფლებამ უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი ამასთან დაკავშირებით. მათ ეყოთ ტვინი გამწვავებისთვის, რუსი ხალხის შეურაცხყოფისთვის, ახლი კი გაჩუმებულები არიან“, — განაცხადა სპიკერმა.

NEWSRU.COM



ვახტანგ ძაბირაძის განცხადებით, ჯერჯერობით ამომრჩეველი ორი პოლიტიკური ძალით „ქართული ოცნებით“ და „ნაციონალური მოძრაობით“ უნდა დაკმაყოფილდეს. თუმცა, როგორც კონსტიტუციონალისტი აცხადებს, მნიშვნელოვანია, იცვლება საარჩევნო სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხმები ნაკლებად დაიკარგება. მისი თქმით, დიდია ალბათობა იმისა, რომ არჩევნებში 50%-იანი მხარდაჭერა ვერ მიიღოს ვერც ერთმა პარტიამ და ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, წვრილმა პარტიებმა გადაწყვიტონ რომელი პოლიტიკური ძალა მოვა ხელისუფლებაში. ძაბირაძე არ გამორიცხავს, რომ წვრილმა პარტიებმა ულტიმატუმი წაუყენონ „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ და მთავრობის დაკომპლექტების საკუთარი გეგმა შესთავაზონ.

ვახტანგ ძაბირაძე დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

„სავარაუდოდ, ხაზარაძე პოლიტიკაში მიდის საკუთარი ბიზნესის დასაცავად, ან — კოალიციაში, ალბათ, ივანიშვილთან“...

— ბიზნესიდან პოლიტიკაში, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ გამოძიება დაიწყო საეჭვო ტრანზაქციებთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ხაზარაძე იძულებით არის პოლიტიკაში შემოყვანილი? რა ფენომენია ქართული პოლიტიკისთვის „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი?

— ბევრი ვერსიაა და შეიძლება ამ ვერსიების დალაგება. უკეთესი მოლოდინი მქონდა ხაზარაძის პოლიტიკაში შემოსვლით. ველოდი, რომ უფრო აქტიური და პოზიტიური იქნებოდა მისი გამოჩენა პოლიტიკურ ველზე, მაგრამ ასე არ მოხდა. თავად გუნდის წარდგენის ეს იდეა... არ ვიცი, ეს გეგმა ვინ შესთავაზა, წარდგენა მარტო გვარების დასახელება ხომ არ არის? გარკვეულწილად, პოლიტიკური ძალის პიარიც არის, მაგრამ ძალიან უღიმღამოდ მიდის გუნდის წარდგენის პროცესი, თუ არ ჩავთვლით 12—12 კაცის წარდგენას, რაც ნებისმიერ პარტიას შეუძლია გააკეთოს. პოლიტიკაში წარდგენილი 12 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია, შესაძლოა, თავისი საქმის პროფესიონალები არიან, მაგრამ პოლიტიკურად არააქტიური ადამიანი არაფრის მომტანი არ არის.

რატომ შემოვიდა ხაზარაძე პოლიტიკაში? როგორც კი დაიწყო დაპირისპირება ხაზარაძესა და ხელისუფლებას შორის, მაშინვე თქვა, რომ პოლიტიკაში წასვლას არ აპირებდა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ პოლიტიკაში წავიდოდა, რადგან ასეთი ტრადიცია ჩამოყალიბდა — ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ბიზნესმენი, ან მიდის საზღვარგარეთ, ან პოლიტიკაში. სხვა არჩევანი საქართველოში ბიზნესმენს არა აქვს. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ წავიდოდა პოლიტიკაში.

— ამომრჩევლის რომელ სეგმენტზე მუშაობს ხაზარაძე?

— ეს არის მთავარი კითხვა და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოგვცემდა იმის საშუალებას, გვეფიქრა, რამდენად დამოუკიდებელი იყო ხაზარაძე, როდესაც ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა. როგორც ჩანს, ხაზარაძე მუშაობს „ქართული ოცნებიდან“ წასულ ამომრჩეველზე, სხვა სეგმენტზე ხაზარაძე ვერ იმუშავებს.

როცა ვთქვი, რომ მეტი მოლოდინი მქონდა, ვთვლიდი, რომ მას შეეძლო გაეკეთებინა გარკვეული პიარსვლები და სხვაგვარად შემოსულიყო პოლიტიკაში. ვიფიქრებდით, რომ იმუშავებდა მთლიანად მთელ ამომრჩეველზე და შეეცდებოდა წაეღო რაც შეიძლება მეტი. დღეს მისი პრეზენტაციები ისეთი მოკრძალებულია, ვფიქრობ, მუშაობს ამომრჩევლის იმ ნაწილზე, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ წავიდა, მაგრამ არ მიდის „ნაციონალურ მოძრაობაში“. არ ვიცი, რამეს შეცვლის თუ არა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ხაზარაძე იქნება ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია, რომელიც ამომრჩეველთა 5%-ს მაინც წაიღებს.

— ხაზარაძე ამბობს: არც „ნაციონალური მოძრაობა“ და არც „ქართული ოცნება“...

— გასაგებია, მაგრამ ის ვერ იქნება გამწვევი ლოკომოტივი იმ ოპოზიციური ძალებისა, რომლებიც თვლიან — არც „ოცნება“ და არც „ნაცმოძრაობა“. ჯერჯერობით ხაზარაძეს ამაზე პრეტენზია ვერ ექნება.

იხ. 9 გვ.

ლევან ჯიქური გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა

20-21 ივნისის მოვლენებზე დაკავებული ლევან ჯიქური 2 000-ლარიანი გირაოთი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ლევან ჯიქურისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შუამდგომლობა მისმა ადვოკატმა ალექსანდრე ზუბიაშვილმა დაყენა. აღნიშნულ შუამდგომლობას ბრალდების მხარეც დეთანხმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ბრალდების მხარემ წარადგინა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, საქმის პროკურორების განცხადებით ჯიქურს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემა აქვს და სამედიცინო დახმარება სჭირდება. სასამართლოს სხდომაზე ლევან ჯიქურმა ბრალდება ნაწილობრივ აღიარა და განაცხადა, რომ აქციაზე იმყოფებოდა. მისივე თქმით, ვიდეოშიც ჩანს, ის ფარით მოქმედებდა, თუმცა ჯგუფურ ძალადობას არ ეთანხმება.

ასევე სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა ბესიკ თამლიანმა განაცხადა, რომ ის უკვე ცხრა დღეა, შიმშილობს და შიმშილობას შეწყვეტს, თუ ბრალდებულ ლევან ჯიქურის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიება იქნება გამოყენებული.

სასამართლოს გუშინდელ სხომაზე 20-21 ივნისის მოვლენებზე ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული ხუთი პირის სასამართლო გაიმართა. მათ შორის იყვნენ ზურა ბუდაღაშვილი, ბესიკ თამლიანი ცოტნე სოსელია ლევან ჯიქური ცოტნე ცოტნიაშვილი კახაბერ კუპრეიშვილი.

თბილისის პოლიციის ნარკომანი თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ჰ.მ. დააკავა. ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„7 ოქტომბერს ჰ.მ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო გირაო შეუფარდა. ჰ. მ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს“, — აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში. უწყების ცნობით, საქმეზე გრძელდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

უამრავ ბეჭდვურ პროდუქციასთან ერთად „ასამ“ ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და გაზეთის „სარკმელი საქართველოს“ თანადგომით 2009 და 2010 წლებში გამოსცა ქუთაისისა და იმერეთის წყალმომარაგების პრობლემებისადმი მიძღვნილი ორი ბროშურა, რომელთაგან 2009 წელს გამოცემულის გარეკანზე ჩანს ქალაქში ბევრგან გამოკრული იმ ბანერებიდან ერთ-ერთი, რომელიც მაშინ ქუთაისელებს ჰპირდებოდა: 24-საათიანი წყალმომარაგება წლეულს აუცილებლად გექნებათო.

ბევრჯერ განიორწყლებული პრობლემა

ქუთაისელებს კარგად გვახსოვს ქალაქის ყველა თვალსაჩინო ადგილას, მათ შორის ცენტრალურ მოედანზე გაკრული უზარმაზარი ბანერები, რომლებიც ჯერ კიდევ 12 წლის წინათ დიდი ზარ-ზეიმით გვპირდებოდნენ 24-საათიან წყალმომარაგებას, მაგრამ წელიწადები წელიწადებს ცვლიდა, წყლის ერთი მეპატრონე – მეორეს, წინანდელ თუჯისა და ფოლადის მილებს – სინთეტიკური მასალებით დამზადებული მილები, უცხოეთიდან მიღებულ ძველ ვალს – ახალი, დამატებითი ვალები, რაც ჩვენს შთამომავლებს დარჩებათ უმძიმეს ტვირთად, რამეთუ, „თაობა მიდის, თაობა მოდის, დედამიწა კი უცვლელია მარადიულად“ და ამ მხრივ ქუთაისი როგორ შეიძლება გამონაკლისი იყოს, რომ აქ ვინმემ „შეაგროვოს ქარი პეშვში და მიიბნიოს წყალი თავის სამოსზე“. ამის შეუძლებლობაზე – პეშვში ქარის შემგროვებელი საქმოსნებისაგან თვალახვეულ და დაბრმავებულ მოსახლეობას ჯერ კიდევ ბიბლიური ხანიდან ამუნათებდა იგივე ბრძენი, მაგრამ დაუჯერა ვინმემ? ჰოდა, სავარაუდოდ, უკვე ახლოვდება ჟამი, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმდიდრე, სასმელი წყალიც ისევე კატასტროფულად გაძვირდება, როგორც „ბორჯომი“, სამშობლოს ნაკუწ-ნაკუწ გამყიდველმა სართად რომ მიართვა იმ უცხოელ ბაყბაყდევებს, რომლებმაც მეოცე საუკუნეში მიტაცებულისა და გაჩუქებულის გარდა, ადრე წართმეულს 21-ე საუკუნეში საქართველოს დარჩენილი ტერიტორიის მეხუთედიც შემატეს და ოკუპირებული აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან მავთულხლართებით გამოგვყვეს.

ამ ფიქრებით დამძიმებულმა შევაღე კარი წერეთლის გამზირზე იმ დარბაზში, სადაც იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია აწყობდა შეხვედრას და მიპატიჟებისთანავე მონაწილეობას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ასოციაციას თავკაცობს დიდი პრაქტიკული გამოცდილების პროფესიონალი ზაზა ხელაძე, რომელსაც ახალგაზრდული გუნდი ისე ჰყავს გაწაფული ბევრ საჭირბოროტო საკითხში, რომ მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ბევრი რამ არის საინტერესო. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გამოდგა, თუმცა, როგორც ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის შემაჯამებელ ანგარიშში ხაზგასმით აღინიშნა: „შეხვედრაზე დროულად გამოცხადდნენ მხოლოდ მომხმარებლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და მასმედიის წარმომადგენლები, ამიტომ ღონისძიება ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო“. მართალია, 20 წუთის შემდეგ დარბაზს შემოემატნენ სერვისცენტრის, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების, მათ შორის წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლები, მაგრამ დაუდგენელი მიზეზების გამო საერთოდ არავინ მოსულა აზიის განვითარების ბანკიდან, თავად კომპანიიდან, სამინისტროდან, ხელისუფლებიდან და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, მთავარი მშენებლობის მთავარი „სმკ“-დან, რომლის „დამსახურებაცაა“ მშენებლობის გაძვირება, ჩაბარების საბოლოო ვადის წლითიწლობით გადადება და მრავალწლოვანი გაცრუებული იმედი, რაც ქალაქის 24-საათიანი მომარაგების ამჟამინდელ დათქმულ ვადასაც სათუოდ ხდის.

* * *

ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისგან თავის არიდება „ასა“-მ აღიქვა „როგორც პრობლემის გადაწყვეტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება“ და ამ შეფასებას სავსებით ვეთანხმები, რამეთუ ამაში ღრმად დამარწმუნა ამავე ასოსიაციის მიერ გამოვლენილმა ტექნიკურმა, ტექნოლოგიურმა, სამშენებლო და ორგანიზაციულმა შეცდომებმა, რაც დამახასიათებელი და თანმდევი იყო მრავალი წლის მანძილზე გაჭიანურებული მშენებლობისათვის, რომლის დასრულებას უამრავჯერ გვპირდებოდნენ, მაგრამ სამუშაოთა საბოლოოდ დამთავრება წლევანდლისთვის დათქმულ ვადაზე -— 23 დეკემბრისთვისაც კი საალბათოა. ეს იმის მიუხედავად ითქმის, რომ წინა პერიოდთან შედარებით ტემპი გაზრდილია, მაგრამ საკმარისად – არა!

„ასას“ თავმჯდომარის მიერ ფაქტებით არგუმენტირებული მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა მოწვეულ ინჟინერთა ჯგუფის წარმომადგენელი, ეგრეთ წოდებული „ეპტიისელი“ **გვანცა ლუკავა**. მან ყურადღება გაამახვილა იმ დამატებით სამუშაოებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო თავდაპირველ პროექტში და „სმკ“-ამ შეასრულა. ითქვა დგარების, შენობებთან მიერთების ელემენტების და ზოგიერთ სხვა დამატებით სამუშაოთა შესახებ და ამით გამოწვეულ იმ დანახარჯებზე, რომელიც თავდაპირველად გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ რატომღაც ყურადღება არ გამახვილებულა აღრიცხვის მიუერთებელ ბლოკებზე, სამკილომეტრიანი მაგისტრალის თუჯის მილებით მიღებულ ეკონომიასა და ზოგიერთ სხვა მტკივნეულ საკითხზე, რის გამოც შეხვედრის მონაწილეთათვის ბევრი რამ პასუხგაუცემელი დარჩა.

არაერთ პრობლემურ საკითხზე ისაუბრეს და წყლით მომარაგების ბევრ საჭირბოროტო კითხვაზე მოითხოვეს კონკრეტული პასუხი მომხმარებლებმა. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში მათ ინფორმაცია მიაწოდა სემეკის წარმომადგენელმა **გიგა ნადირაძემ,** თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით იმ პასუხზე, რომელიც მისცეს შეხვედრის ერთ-ერთ წევრს, ქალბატონ ლიანა კუპრავას, რომელსაც აინტერესებდა 2010 წელს ამერიკული ორგანიზაციის მიერ მილენიუმის პროგრამით შემოტანილი და ქუთაისისთვის გადაცემული 21 ათასი მრიცხველის ბედი. ცნობილია, რომ მათგან ქუთაისის წყალმომარაგების 7800 კლიენტს მრიცხველები უფასოდ დაუდგეს, ხოლო სხვებს ფული გამოართვეს, რადგან დანარჩენი მრიცხველები ვიღაცამ მიითვისა, თუმცა ყველა მათგანი ქუთაისისთვის იყო შეძენილი და ქუთაისელებს უფასოდ უნდა მოხმარებოდა.

როგორც გაირკვა, ამ საგანგაშო შემთხვევის შესახებ ინფორმაციას სემეკელი საზოგადოებრივი დამცველი **ნინო გულეიშვილი** ფლობდა, მაგრამ მან მოიბოდიშა, ინფორმაციას მხოლოდ ნაწილობრივ ვფლობ, რამეთუ არ მახსოვს 9 წლის წინანდელი დეტალებიო.

როდესაც ამ განმარტებას ვისმენდი, თავი ძლივს შევიკავე, რადგან ტრიბუნასთან ახალგაზრდა ქალი იდგა, თორემ მთელი ხმით მინდოდა, მეყვირა: ეს თუ არ გახსოვს, რა დაიხსომე შენი უშუალო მოვალეობისაგან, საზოგადოებრივო დამცველო? რამ დაგავიწყა მოვალეობა, რომ არავისთვის უნდა მიგეცა გაღატაკებული თანაქალაქელების ძარცვის უფლება იმ 13 ათასამდე მრიცხველის დადგმისას, რომელიც ქალაქს სამოწყალოდ აჩუქეს და მათსავე 7.800 მეზობელს სრულიად კანონიერად, ყველა სამართებლივი წესის დაცვით უფასოდ დაუდგეს?

გულმავიწყობა, როგორც ამ შეხვედრის შემდგომ კიდევ უფრო დავრწმუნდი, საკმაოდ გავრცელებული სენია, თანაც არა იმდენად იმ თაობისთვის, რომელსაც მე მივეკუთვნები, არამედ ახალგაზრდებისთვისაც. ამის დასტურად შორს წასვლა არ დამჭირდება. შეხვედრისას ჩემს გვერდით იჯდა ახალგაზრდა, რომელმაც გარეგნობითა და ზრდილობიანი სიტყვა-პასუხით თავი დამახსომა. იგი „ქუთაისწყალის“ შედარებით ახალდანიშნული უფროსი გამოდგა.

ჩვენი ქალაქი საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ იმერეთისათვის დამახასიათებელი სითბოთია გამორჩეული და, როგორც წესი, ყველანი ყველას ვიცნობთ. ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც მომიბრუნდა და მოკრძალებით მკითხა: ბატონო ალექსანდრე, თქვენ ხომ არაფერი გაქვთ სასაყვედურო ან სათქმელი ქუთაისწყალისთვისო. საჩემო არაფერი, სადღეღამისო უწყვეტ წყალმომარაგებაზე უკვე ბევრი რამ ითქვა და ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქალაქი მოესწრება ამ ბედნიერებას, ასე რომ, პირადული სათხოვარი არა მაქვს, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს და კარგი იქნება, თუ ყურადღებას მიაქცევთ: ჩვენს ქუჩაზე, მათ შორის ჩემს კერძო სახლში წყლის ხარჯს ყოველთვიურად ერთი ძალზე ზრდილობიანი და სიმპათიური თქვენი თანამშრომელი, ახალგაზრდა ქალბატონი აღრიცხავს და რამდენჯერმე თურმე რკინის მესერზე მოუწია გადასვლა, რადგან სახლში მარტო ვცხოვრობ, პროფესიის გამო ხშირად არა ვარ შინ და ალაყაფის კარს ვკეტავ.

– ეს ძნელი მოსაგვარებელი არ არის, მრიცხველს ღობის გარეთ, ტროტუართან გადავიტანთ! – მპირდება და უბის წიგნაკში იწერს ჩემი მობილურის ნომერსა და მისამართს. თუმცა, ეტყობა, უბის წიგნაკი დაპირებულის დახსომებასავით სადღაც „დაკარგა“.

ამას რომ ვწერ, საგანგებოდ ვიხსენებ იმ წლებს, როდესაც ხალხი, რომლებიც მართვის საჭესთან იდგა, არ ამაყობდა იმით, რომ გაზეთებს არ ვკითხულობო და თითოეულ პუნლიკაციასთან დაკავშირებით რეაგირება უსწრაფესი და უმწვავესი ჰქონდა. თუმცა, როგორც იტყვიან, ხშირად ნაბან წყალს ბავშვსაც გადააყოლებდნენ ხოლმე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური კომიტეტის ის ხელმძღვანელი მუშაკი, ვინც ვაჭრობის საკითხებს კურირებდა და როგორც კი ფასების დამახინჯებათა, ჩხუბის, მკვლელობათა თუ სხვა დანაშაულთა შესახებ კრიტიკულ გამოსვლას წააწყდებოდა, დაუყოვნებლივ ხურავდა ამ ობიექტებს მანადე, ვიდრე ჟურნალისტთა კავშირის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას არ ვთქვი: თუ ასე განვაგრძეთ და დანაშაულთან ბრძოლის ნაცვლად ობიექტები გავაუქმეთ, ქალაქში აღარც ერთი სავაჭრო ჯიხური აღარ შეგვრჩება-მეთქი. ამას იმიტომ ვიგონებ, რომ საკმაოდ მძიმე ხელით შესრულებული ეს სტატია იმიტომ კი არ დამიწერია, რომ დღევანდელი საზოგადოების საერთო სენის გამო ვინმე მოიკვეთოს და კრიტიკული გამოსვლის მომიზეზებით სამუშაოდან დაითხოვონ, არამედ იმიტომ, რომ ჩემი შვილისა და შვილიშვილების თანატოლებმა მეტი პასუხისმგებლობა იგრძონონ, რადგან საზოგადოებას არაფერი რჩება შეუჩნეველი და შეუფასებელი – არც კარგი და არც ცუდი!

* * *

არადა, პრობლემა რომ ბევრია, ეს ამ შეხვედრამ თვალნათლივ დაადასტურა მთავარი ფიგურანტების – მშენებლების, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების, რეკონსტრუქციით დაინტერესებული უწყებების მოუსვლელობით გამოწვეული უხერხულობითა და მათ მიერ სათანადოდ შეუფასებელი პრობლემებით, მათ შორის თუნდაც იმ პრობლემებით, რომლებიც ეკოლოგიასა და ტექნიკურ საკითხებს უკავშირდება: წყალთან ჰაერის შერევას, რაც საგრძნობლად ზრდის გადასახადის ისედაც დიდ თანხას; პრობლემებით, რომლებიც დაკავშირებულია მაღლივ კორპუსებში აღრიცხვის ბლოკების ქსელზე მიერთებასთან, ქვიტირის სატუმბი სადგურიდან საფიჩხიისთვის წყლის მიწოდებასთან, ახალ ქსელთან სულხან-საბას, ნიკეას, გამარჯვების, ქელქვიანისა და სხვა უბნების მიერთებასთან და, რაც განსაკუთრებით არსებითია, საკვანძო კითხვასთან: ამჯერად მაინც აღსრულდება თუ არა მრავალწლოვანი დაპირებების „ფიცი მტკიცი“ – ქუთაისს წლეულს აუცილებლად ექნებაო 24-საათიანი, ანუ უწყვეტი სადღეღამისო წყალმომარაგება?!

ვნახოთ!

ფინიშისთვის აღთქმული თარიღი შორს აღარ არის – 23 დეკემბრამდე ორთვენახევარიც აღარ დარჩა და ვნატრობ, ამ დიდ საქმეს შეჭიდებულებმა ამჯერად მაინც არ გაგვინიორწყლონ ქალაქისა და ჩვენი თანაქალაქელების სანუკვარი იმედი!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

◎ რას ეძებ, რა დაგიკარგავს...

წამლები 1 ლარად... ფაააფუ?!

ერთი თვის წინათ ტელევიზორში ყური მოვკარი, მთავრობა პენსიონერებს წამლების ერთ ლარად ჩუქებას ჰპირდებაო. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე. ვიფიქრე, ალბათ, გვეხუმრებიან, თორემ, წამლებზე ამ ცეცხლისკიდებაში 1 ლარად რომელი ხელგაშლილი აფთიაქი გამოიმეტებს უსახსროდ მიტოვებული პენსიონერებისთვის მედიკამენტებს-მეთქი. მაგრამ, მერე და მერე ამაზე საუბარს რომ მოუხშირეს, თავი დავირწმუნე, რომ ხელისუფლება ტყუილს არ იკადრებდა („არც არასდროს უკადრია!") და ვითარების გასარკვევად კლინიკაში ოჯახის ექიმს ვეწვიე. მან მითხრა, რომ წამლების იმ ჩამონათვალში, რომლის მიხედვითაც აფთიაქები მედიკამენტებს 1 ლარად გასცემენ, „კოპლავიქსი" და „სორვასტა" (მე სწორედ ამ წამლებს ვღებულობ) შეტანილი არ არის, მაგრამ არის მათი შემცვლელები, რომლებსაც, თუ გნებავთ, რეცეპტით მიიღებთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და რეცეპტებით აღჭურვილმა პირველ რიგში საბურთალოს სოციალურ განყოფილებას (ასე ყოფილა საჭირო) მივაკითხე.

— ამ რეცეპტებით თქვენი სურვილისამებრ შერჩეული აფთიაქებიდან წამალს ვერ მიიღებთ, — გამაფრთხილეს სოცგანყოფილებაში და გამომიწოდეს იმ აფთიაქების ჩამონათვალი, სადაც მედიკამენტებს გასცემენ 1 ლარად. ჩამონათვალი კი გამოვართვი, მაგრამ იქ დასახელებული აფთიაქები ქალაქის სხვადასხვა უბანში (ვაჟა-ფშაველას, ჭავჭავაძის გამზირი, დიდი დიღომი, ნუცუბიძის, არაყიშვილის ქუჩები და სხვა) ისე არიან დაწალიკებული, ჩემისთანა სიქაგაცლილი მოხუცისთვის ამ ობიექტებზე წინ და უკან სირბილი ცოტა მკრეხელურად ხომ არ გეჩვენებათ?! ვერ გეტყვით, ამაზე რა პასუხი აქვთ ჯანდაცვის სამინისტროს თავკაცებს (თავქალებს!), მაგრამ მათთვის საქმე რომ არ გამერთულებინა, ავდექი და სააფთიაქო მარულაში ჩემი ზრდასრული შვილიშვილები ჩავრთე. იცოცხლეთ, მათ ერთი აფთიაქიდან მეორეში მთელი ორი კვირა იორღა ცხენებივით იჭენავეს, მაგრამ რას ეძებთ, რა დაგკარგვიათ, სასურველი ერთლარიანი წამლები ვერცერთში ვერ მოიხელთეს...

ვიფიქრე, ეს ჩემი ეშმაკუნა შვილიშვილები ხომ არაფერს იტყუებიან-მეთქი და ჩემს საცხოვრებელთან შედარებით ახლომდებარე ფარმადეპოში (გამსახურდიას გამზირი №15-ში) პირადად შევიარე. თეთრხალათიან აფთიაქარს ჩემთვის საჭირო წამლები ისე დავუსახელე, რეცეპტი არ მიჩვენებია.

— კი ბატონო, მაგ წამლებს ახლავე მოგართმევთ, რა რაოდენობით გნებავთ? — მეკითხება აფთიაქარი.

— იმ რაოდენობით, რაც ამ რეცეპტებშია მინიშნებული, — ვპასუხობ.

— აააა, ერთლარიანი წამლების რეცეპტები გაქვთ? — შეიშმუშნა აფთიაქარი, — მაგით ამ წამლებს ვერ მოგცემთ.

— რატომ, ქალბატონო, თუ ურეცეპტოდ მაძლევდით, რეცეპტით რატომ ვერ მომცემთ? — გავიკვირვე.

— იმიტომ, რომ 1 ლარად გასაცემი წამლები ჯანდაცვის სამინისტროს აღარ შემოუტანია. ადრე გვქონდა, მაგრამ სწრაფადვე გათავდა.

ყველა აფთიაქში პასუხი თითქმის სტანდარტულია — „წამლები 1 ლარად ჰქონდათ, მაგრამ გათავდა, წამლების ახალი პარტია კი ჯანდაცვის სამინისტროს აღარ შემოუტანია"... არაქათგაცლილი პენსიონერები კი აფთიაქიდან აფთიაქში ამაოდ დარბიან, რადგან მათთვის განკუთვნილი ერთლარიანი წამლები ვითომ არის, თუმცა, ფაქტობრივად, არც არის.

ამ სურათის შემხედვარეს თავი ზღაპარში მგონია (იყო და არა იყო, რა...) და ეტყობა, ჯანდაცვის სამინისტროს მესვეურებიც ზღაპარში ისე ცურავენ, რომ მათ მიერ ინიცირებულსა და რეალობას შორის განსხვავებას ველარც კი ამჩნევენ. თუკი ამჩნევენ, ზომებს რატომ არ იღებენ?!

ოთარ ხუციშვილი

◎ შეძახილი

გზა არსაით...

ქალბატონი მაია ცქიტიშვილის უწყება საგურამოში მოასფალტებული გზის კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს. ძალიან კარგია, მაგრამ რატომღაც მუშახელი და ტექნიკა მხოლოდ უამინდობის დროს გამოჩნდება.

ეს სამუშაოები წელიწადია გრძელდება, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა დასრულებულიყო თვენახევარში, მაქსიმუმ ორ თვეში. თუ ასე უპასუხისმგებლოდ მუშაობს სამინისტრო სხვა ობიექტებზეც, კარგად გვქონია საქმე. გაჭიანურებული მშენებლობა ყოველთვის იწვევს გაძვირებას და მდარე ხარისხს, ნუთუ ვიცე-პრემიერმა ცქიტიშვილმა ეს არ იცის ან ასე უდიერად უნდა მოექცეს ქვეყნის ბიუჯეტს, რომელსაც ჩვენ, მოსახლეობა ვავსებთ. გრცხვენოდეთ!

ომარ მარგველაშვილი

წყალტუბოს სოფელ მაღლაკში მოსახლეობამ აქცია გამართა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მოსახლეობამ აქცია გამართა. ე.წ. სვანების დასახლების მცხოვრებლები სოფელში არსებულ პრობლემებს და ხელისუფლების უყურადღებობას აპროტესტებენ. მათი თქმით, სოფლის გზის სამკილომეტრიანი მონაკვეთი დაზიანებულია და გადაადგილების პრობლემა აქვთ. როგორც მოსახლეობა განმარტავს, გზის რეაბილიტაციის მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა დაპირება არ შესრულდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის იონა ჯოჯუას თქმით, მაღლაკში, სვანების დასახლებაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება, რის შემდეგაც უშუალოდ რეაბილიტაციაზე გამოცხადდება ტენდერი. სამუშაოებისთვის ნახევარი მილიონი ლარია გამოყოფილი და გზასთან ერთად სანიაღვრეების რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. მისი ვარაუდით, ზამთრის სეზონის გამო სამუშაოები მომავალ წელს დასრულდება.

მთავარი რედაქტორისგან:

ჩვენი დამსახურებული ჟურნალისტის ოთარ ხუციშვილის ამ პატარა წერილში დიდი სოციალური პრობლემა იკითხება. ამ დღეებში რედაქციას „ერთლარიანი" წამლების „ყოფნა-არყოფნით" გამწარებულმა უამრავმა ვეტერანმა მოგვმართა. ყველა მათგანი მთავრობის მართლაც საჭირო და დროული გადაწყვეტილების უარყოფით მხარეებზე ლაპარაკობს. ყველა აფთიაქში თუთიყუშივით ერთსა და იმავეს იმეორებენ — „წამალი არა გვაქვს, რაც შემოიტანეს, გათავდა... რამდენიმე დღის შემდეგ შემოიარეთ!"

ასე ნამდვილად არ შეიძლება, სააფთიაქო (ფარმაცევტული) ბიზნესის ვირთხებო! სახელმწიფოს, მთავრობას, გაჭირვებულ ხალხს კრიჭაში ნუ უდგახართ, თორემ მოთმინების ფიალა უკვე ავსებულია და...

ხალხის გაღლეტის ხარჯზე გაფულფულებული თქვენი კერძო ბიზნესი მალე თავზე დაგემხობათ!

ეს ძალად თავს მოხვეული პრობლემა მთავრობამ დროზე უნდა მოაგვაროს!

„ყველაზე კლასობრივი ჩაგვრა ჯანდაცვის სფეროშია"!

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია და დეპუტატი მირიან წიკლაური პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართავენ, რომელიც მედიკამენტების ფასებს ეხება.

პრესკონფერენციაზე ჯონდი ბაღათურიამ პარტიის მიერ ჩატარებული კვლევა წარადგინა, რომელიც, მისი თქმით, საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში მედიკამენტებზე ფასების სხვაობას ასახავს.

„რამდენიმე თვეა, საქართველოში დაუცველი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას ვსწავლობთ. ყველაზე კატასტროფული მდგომარეობა, კლასობრივი ჩაგვრა არის ჯანდაცვის სფეროში, განსაკუთრებით, სააფთიაქო ბიზნესში. შევისწავლეთ მეზობელ ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში, სააფთიაქო ქსელში სამომხმარებლო ბაზარი. ამჟამად, ჩვენი წარმომადგენლები სწავლობენ სომხეთისა და აზერბაიჯანის სამომხმარებლო ბაზარს, სადაც კატასტროფაა. საქართველოში დამზადებული წამალი ორჯერ იაფი ღირს, ვიდრე სომხეთში. დანაშაულებრივი შედეგებია საქართველოს სააფთიაქო ქსელში შექმნილი ვითარების თვალსაზრისით. ორი სახის „კაპტოპრილს" წარმოგიდგენთ, რომელიც არის წნევის მარეგულირებელი წამალი, რასაც ყველაზე მოწყვლადი ფენა მოიხმარს. საქართველოში დამზადებული „კაპტოპრილის" ფასი არის — 12 ლარი და 80 თეთრი, რუსეთში ნაყიდი „კაპტოპრილი" კი ღირს — ერთი ლარი და 90 თეთრი. ფასებს შორის განსხვავება 673 პროცენტია. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა 25-მილიგრამიან „კაპტოპრილზე"; მისი ფასი საქართველოში 9 ლარი და 70 თეთრია, ხოლო რუსეთში 77 თეთრია. განსხვავება არის 1260 პროცენტი. საქართველოში დამზადებული წნევის წამალი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე რუსეთში. ზუსტად იგივე ფასებია თურქეთშიც. იგივე ხდება „კარდიომაგნილზეც", მისი ფასის სხვაობა 180პროცენტამდეა. პირდაპირ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს არის შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ. მორალური კატეგორიით თუ ვიტყვით, ეს უსინდისობაა, სამართლებრივად კი, სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან კარტერული შეთანხმებაა ფასებით ხალხის წინააღმდეგ", — აღნიშნავს ბაღათურია. „ქართული დასის" ლიდერმა განმარტა, თუ რას გულისხმობს მომზადებული საკანონმდებლო წინადადება.

„მირიან წიკლაურთან ერთად კანონპროექტი მოვამზადეთ, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა, სადაც პირდაპირი რეგულაციებია დაწესებული მედიკამენტების ფასწარმოქმნის ყველა ეტაპზე; ეს ეხება დამზადების ეტაპს, საბითუმო და საცალო ვაჭრობას. კერძოდ, სახელმწიფო ადგენს ბარჟას, რამხელა ბარჟა შეიძლება, ჰქონდეს ფასწარმოქმნის ყველა ეტაპზე მედიკამენტებს და რამდენი შეიძლება, დაემატოს მედიკამენტის საწყის ფასს. ანუ, თუ მედიკამენტი ჯდება ლარი, მთავრობა დააწესებს, მაგალითად, ერთ ლარსა და 50 თეთრს და არა — 13 ლარს. ეს არ არის შამპანურის წარმოება, ეს არის ფარმაცევტია. ამით მთავრობა საკუთარ მოსახლეობას ზედმეტი ხარჯისგან დაიცავს", — დასძინა ბაღათურიამ.

„პუტინს გადაწყვეტილი აქვს მიიერთოს საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, ბელარუსი, უკრაინის ძირითადი ნაწილი — გარდა დასავლეთისა. ამ ეტაპზე რუსეთი მიაღებინებს მათ ნეიტრალიტეტს და დაასუსტებს ამ ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებს. მთები, რომლებიც თქვენ უკანაა, აღარ გაყოფს ორ ქვეყანას, ეს ერთი ქვეყანა იქნება, სადაც თავისუფლად გადაადგილდებიან ჯარისკაცები, ჩამოვლენ მათი მოხელეები, რათა გვმართონ. ჩვენ დავუსხამთ მათ ღვინოს, გავართობთ, ფეხებს დავულოკავთ და გავხდებით მათი მონები. აი, ეს არის მათი გეგმა, რომელსაც განუხრელად მისდევს ივანიშვილი. ამ გეგმის არ ესმით ძველ პოლიტიკოსებს, მაგრამ ამ გეგმის წინააღმდეგ თქვენ, საქართველოს ახალგაზრდობავ, შეგიძლიათ აღდგეთ, რომლებიც დაიბადეთ დამოუკიდებელ საქართველოში“.

ეს მიმართვა ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან ახლახან, 27 სექტემბერს, გააკეთა. სააკაშვილის მრავალწახნაგოვან, ხშირად აბსურდსა და შიზოფრენიაში გადასულ გამოსვლას, არა მარტო ჩვენ, საქართველოს საზოგადოება მივეჩვიეთ, არამედ სხვაც — საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნიც.

წყალს ბევრი თევზი მოჰყვება. ჩვენც ხომ ისეთივე ამღვრეულები ვართ, როგორც უკრაინა?!

და რაც უფრო მეტად ვიქნებით, მით უკეთესი არა მარტო სააკაშვილისა და მისთანებისთვის, არამედ აშშ-ის გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვისაც. ვიმეორებ — ამღვრეულმა წყალმა ბევრი თევზი იცის — ჰოდა, სააკაშვილიც თავს უფლებას აძლევს, რუსული აგრესიით, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით, რუსი „ჩინოვნიკების“ ქართველთა მიერ ფეხის ლოკვით ტვინი აუმღვრიოს საქართველოს ახალგაზრდობას, თან ფული აკეთოს.

ნაცები - ერის სხეულზე აცოცებული „ღორის ტილები“,

ანუ ფულის შოვნაზე აგებული პოლიტიკა

მივეჩვიეთ და ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ ვუსმენთ — არა მარტო ტელეეკრანის მაგიური მაგნიტური მიზიდულობის გამო, არამედ ინტერესის გამოც! დიახ, ინტერესის! — თუ არა ამას, სხვას რას უნდა მოვენუსხეთ?

„ნახეთ, ამ გიჟმა რეები ილაპარაკა“ — ასე მეუბნებიან ნაცნობები, თან გინებას აყოლებენ. როგორც ჩანს, მიუხედავად სააკაშვილის „გიჟობისა“, მოუსმენიათ მისთვის.

სააკაშვილმა იცის, რას ნიშნავს ტელევიზია, მისი გავლენა საზოგადოებაზე. ამდენად, ენერგიას არ იშურებს და სისტემატიურად გვეხატება გვარამიას ტელეეკრანზე. სააკაშვილმა ისიც იცის, რომ საბჭოთა კავშირში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანებზე ვერ მოახდენს სერიოზულ გავლენას, მაგრამ ახალგაზრდებზე, რომლებიც დაიბადნენ დამოუკიდებელ საქართველოში და რომლებსაც ცოტა და ისიც ცუდი სმენიათ წინა ცხოვრებაზე, უდავოდ „მონუსხავს“.

NDI-ის გამოკითხვის მონაცემებით — რუსეთის, ისე როგორც საბჭოთა კავშირის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება საგრძნობია, თუმცა ახალგაზრდები არ „ფიქსირდება“. არადა, საინტერესო იქნებოდა მათი აზრის გაგება. დარწმუნებული ვარ, გამუდმებული ანტირუსული პროპაგანდა, რომელიც იოლად იკვლევს გზას ახალგაზრდათა ჯერაც ჩამოუყალიბებელ ტვინებზე, მიზანს მიაღწევდა.

ახალგაზრდა კი — მოჭარბებული ენერგია, ემოცია, „თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის“ ბრძოლაა მთავარი ჩვენს პირობებში „ოკუპაციის“ წინააღმდეგ... განა ეს წამყვან სლოგანად არ იყო გამოტანილი ა.წ. 20-21 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროს, როდესაც ახალგაზრდები ე.წ. პოლიტიკოსების ავი ზრახვების ბრმა შემსრულებლები გახდნენ?!

სააკაშვილის და მის ზურგს უკან მდგომი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების, კარპენტერების, ვოლკერების, ბრაიზების, პოლონელი, მოჭარბებულად ბალტიისპირელი პოლიტიკოსების, უკრაინელების შეხმატკბილებული ანსამბლის მიზანი ერთია — ანტირუსულ კამპანიაზე დიდი ფულის შოვნა.

ვირტუალური რუსული საფრთხე ექსტრა-კონფერენციების, შეკრებების, თავდასაცავი ტრენინგების საბაბი ხდება ყველგან. ხშირად მუდმივმოქმედი ინსტიტუტების (მაკკეინის) ჩამოყალიბების სტიმულიც...

ყოველივე აღნიშნულს სპეციალისტები ესაჭიროება — ისეთები, რომლებმაც მრავალი წელი გაატარეს პოლიტიკაში და სიბერეში ანტირუსული პოლიტიკა შემოსავლის წყაროდ აქციეს. ყოფილი პოლიტიკოსების შეხმატკბილებული „მოღვაწეობა“ გარკვეულ მიზანსაც აღწევს, ვინაიდან არცთუ ძნელად ახერხებენ საკუთარი აზრების და იდეების კონგრესში ლობირებას.

უკრაინაში აშშ-ის სპეცწარმომადგენელი ვოლკერი, მაკკეინის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ისეთ საქმეებში ყოფილა გარეული, რომ აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის შვილს ჰანტერსაც შეშურდებოდა. არადა, ვოლკერი წლების განმავლობაში „მუშაობდა“ უკრაინაში. მის აზრს იზიარებდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ადმინისტრაცია. უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსთვის ვოლკერის მოსაზრება ლამის აშშ-ის პრეზიდენტის მოსაზრებად აღიქმებოდა.

შესაბამისი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა არა მარტო ვოლკერი მოიშორა თავიდან, არამედ ევროპა-უკრაინის მიმართულებით მომუშავე ოთხი გავლენიანი ამერიკელი დიპლომატი, ელჩი უკრაინაში ქალბატონი იოვანოვიჩი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კენტი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ბრეხბული, ევროკავშირთან აშშ-ის ელჩი სონლანდი.

ვოლკერის გათავისუფლება კიდევ უფრო გააღრმავებს მედიაში ბაიდენისა და მისი შვილის უკრაინული კორუფციის თემას და ნებისმიერი მცდელობა დემოკრატებისა, მიჩქმალონ ეს საქმე, ხელს შეუწყობს ბაიდენის რეიტინგის დაცემას.

ბაიდენის რამდენიმე მილიონდოლარიანი უკრაინული საქმე არაფერია ჩინურთან შედარებით, სადაც 1.5 მილიარდი დოლარი „ფიქსირდება“. ამ საქმეს არამარტო კორუფციის სუნი ასდის, არამედ სხვა სახელმწიფოს ინტერესებისთვის მუშაობისაც, რასაც ვოლკერის შემთხვევაშიაც აქვს ადგილი.

მახსენდება ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მოჭარბებული აღტაცება აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის საქართველოში ვიზიტის დროს — „აი, ასეთად წარმოგვედგინა აშშ-ის დამაარსებელი მამები“. საინტერესოა, რამდენი დაუჯდა საქართველოს, სააკაშვილის მიმართ ბაიდენის ქებათაქება, სააკაშვილის დედის და ოჯახის წევრების თანდასწრებით? „ბარაქალა თქვენს დედობას, ასეთი შვილის გაზრდისთვისო“ — თქვა ბაიდენმა.

უკრაინა გამონაკლისი არ არის. საქართველოშიც ასე იქცეოდნენ და იქცევიან ამერიკელი დიპლომატები, მაღალჩინოსნები. როგორც იტყვიან — ამღვრეულ

ახლა რაც შეეხება სააკაშვილის მიერ ნათქვამ საბჭოთა კავშირის აღდგენას. სხვათა შორის, ამ თემას არა მარტო ნაცები აჟღერებენ, სხვა ოპოზიციური პარტიებიც, რაც აშკარად მიუთითებს იმათ პოლიტიკურ უვიცობაზე.

საბჭოთა კავშირისი მთავარი შემაკავშირებელი დუღაბი კომუნისტური პარტია იყო, რომლის ვერტიკალური პარტიული მმართველობა, ცენტრიდან დაწყებული, რესპუბლიკებით, ყველა დაწესებულებითა თუ საწარმოთი, საზოგადო ორგანიზაციითა თუ სასწავლო დაწესებულებით დამთავრებული — ერთიან სახელმწიფოდ ადუღაბებდა ყველას და ყველაფერს.

კომპარტიას მხარში ედგა კომკავშირი — მომავალი პარტიული მუშაკების სამჭედლო. ამ ორი უმთავრესი კომპონენტის არარსებობის პირობებში აბსტრაქციის საგნად იქცევა ნებისმიერი ადამიანის, თუნდაც ისეთის, როგორიც რუსეთის პრეზიდენტის პუტინის სურვილია, აღადგინოს საბჭოთა კავშირი.

პუტინს ამის თაობაზე არასდროს არაფერი არ უთქვამს. რაც მან თქვა, იყო ის, რომ ნანობს საბჭოთა კავშირის დაშლას, ვინაიდან ერთბაშად სამშობლოს (რუსეთს) 20 მილიონი რუსეთელი მოსწყდა და უკვე „უცხო“ ქვეყანაში უწევს ცხოვრება.

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, განსაკუთრებით სომხეთისას. სააკაშვილს დაავიწყდა, რომ სომხეთი არა მარტო დსთ-ს, ევრაზიული კავშირის, „ოდეკაბეს“ წევრია, არამედ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორიცაა. ასე რომ, არც მას და არც რუსეთს ნეიტრალიტეტი არ სჭირდებათ, ისე, როგორც ბელარუსს, რომელსაც სამოკავშირო ხელშეკრულება აქვს დადებული რუსეთთან.

მოლდოვას უკვე აქვს გამოცხადებული ნეიტრალიტეტი და გამეორება აღარ ესაჭიროება. რაც შეეხება საქართველოს — როგორც წყალი, ისე სჭირდება ნეიტრალიტეტი, გამომდინარე ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან. სამწუხაროდ, აღნიშნულის წინააღმდეგ არა მარტო ნაცები ილაშქრებენ, არამედ სხვა პოლიტიკოსებიც. მათი აზრით, ნეიტრალურ საქართველოს ადვილად ჩაყლაპავს რუსეთი. ამ მოსაზრებაში სააკაშვილი და „ოცნების“ პოლიტიკა ერთიანია, რაც ქვეყანას არ წაადგება.

საკვირველია სააკაშვილისეული განმარტება რუსი მოხელეების მასპინძლობასთან დაკავშირებით: „ჩამოვლენ, რათა გვმართონ, ჩვენ კი დავუსხამთ ღვინოს, გავართობთ, ფეხებს დავულოკავთ...“ თითქოს ამჯერად ამას არ ვაკეთებთ, ცხადია არა რუსების მიმართ, არამედ დასავლელი ე.წ. პარტნიორების მიმართ...

ვის, ვის და სააკაშვილს არაფერი ეთქმის ღვინის დასხმისა და უცხოელთა ფეხების ლოკვაზე, რამეთუ თვით ზედმიწევნით კარგად აკეთებდა ამას, როგორც აქ, ისე უცხოეთში. თავის დროზე პრესა აჭრელებული იყო ამერიკელი ბრაიზას თურქეთში ქორწილით, რომელიც სააკაშვილმა, ანუ საქართველომ დააფინანსა. მისი აზრით, როდესაც ამერიკელს ელაქუცები და ფეხს ულოკავ, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობაა, მაგრამ თუ რუსს — მონობა!

სულ ახლახან, ტელეკომპანია „პირველში“ მიწვეულმა ჭიაბერაშვილმა, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა „ქართლის დედის“ მონუმენტთან დაკავშირებული საკუთარი ფალოსოფიური ბოდვებით, კიდევ ერთხელ აგვიხსნა — რამდენად საშიშია რუსეთი და მასთან ერთი-ერთზე დალაპარაკება.

თავისი ავადმყოფური აზრით, რუსეთთან დიალოგი შეუძლებელია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. რუსეთი არის აგრესორი, ოკუპანტი და თუ მაინცდამაინც საჭიროა მასთან დიალოგი, დასავლელი პარტნიორები უნდა გვახლდნენ — რუსმა რომ არ მოგვატყუოს.

და ამას ამბობს „პოლიტიკოსი“ საკუთარ ქვეყანაზე — სუვერენულსა და დამოუკიდებელზე, რითაც შეურაცხყოფს მას. 28 წელია „დამოუკიდებლად“ ვარსებობთ, მაგრამ ჭიაბერაშვილსა და მასავით „ღრმად“ მოაზროვნე მანქურთებს ქვეყნის სრული „დაღვინებისთვის“ ეს ასაკი საკმარისად არ მიაჩნიათ.

ჭიაბერაშვილმა არა მარტო ამ მოსაზრებით დაგვამახსოვრა თავი, არამედ ისეთით, რაც ნაცთა სასარგებლოდ არის გათვლილი და ემსახურება ხალხის დარწმუნებას მათ უდანაშაულობაში. ჭიაბერაშვილმა მოგვიწოდა შევწყვიტოთ იმაზე ლაპარაკი, რომ 2008 წელს ომი სააკაშვილმა დაიწყო. შევწყვიტოთ სააკაშვილის დადანაშაულება ამ საქმეში, ვინაიდან ის კი არ ყოფილა დამნაშავე, არამედ რუსეთი. მან ბრძანა, რომ რუსეთმა დაიწყო ომი ცხინვალში და არა გამსახურდიამ; რუსეთმა დაიწყო ომი აფხაზეთში და არა შევარდნაძემ; რუსეთმა დაიწყო ომი 2008 წელს და არა სააკაშვილმა.

მისი მიხედვით, არც ერთი მათგანი — გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი დამნაშავეები არ არიან, დამნაშავე რუსეთია. ჭიაბერაშვილის ნათქვამის დედააზრი ხალხში გამჯდარი სააკაშვილის დანაშაულის წაშლაა, რაც არ არის გასაკვირი. რახანია ნაცები გვიმტკიცებენ, რომ 2008 წელს ომი სააკაშვილმა კი არა რუსეთმა დაიწყო, რითაც შეურაცხყოფას აყენებენ ევროკავშირის სპეცკომისიის დასკვნას, გაეროს რეზოლუციას.

ჭიაბერაშვილმა დამნაშავე სააკაშვილი გვერდში ამოუყენა გამსახურდიას და შევარდნაძეს. თუ სააკაშვილი დამნაშავეა, მაშინ გამსახურდია და შევარდნაძეც დამნაშავეები არიანო და გვირჩევს, ყველაფერი რუსეთს დავაბრალოთ.

ჭიაბერაშვილის მოსაზრება „ღორის ტილის თავზე აღლოების“ მსგავსია, ანუ კოჰაბიტაციის „უდიდესი მონაპოვარი“, რომელსაც იმკის „ოცნება“ და, რაც მთავარია, ჩვენი ხალხი.

გათავხედებული ნაცები და მისი მოკავშირე პარტიები შეტევაზე არიან გადასული, ვინაიდან იციან, რომ „ოცნება“ საკადრის პასუხს ვერ გასცემს. თავის მართლების პოზიციაში ჩამდგარმა მმართველმა პარტიამ ნაცთა წამოძახილის საპასუხოდ (7 წლის განმავლობაში რა გააკეთეთო) „ბრძნულად“ უპასუხა — ომი ავირიდეთ თავიდანო.

კეთილი, მაგრამ რა ომზეა საუბარი და ვინ აპირებდა საქართველოსთან ომს?

აზროვნების, ცნობიერების შეცვლას დიდი დრო სჭირდება. ერთადერთი გამოსავალი დიალოგის ინტენსიურობაშია. ტვინნაღრძობი პოლიტიკოსების წყალობით საქართველომ ბევრი დრო დაკარგა, რომლის ანაზღაურება მხოლოდ, სწრაფი და გონივრული მოქმედებით შეიძლება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ



„ᲒᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ“:

ᲒᲘᲐ ᲧᲐᲜᲩᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲒᲐᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ“ — ამ სათაურით სტატია ბრიტანულ „გარდიანში“ გამოქვეყნდა.

„გია ყანჩელი 84 წლის ასაკში გულთან დაკავშირებული გართულებებით, გარდაიცვალა. ყანჩელი მეოცე საუკუნის ბოლოს მოღვაწე, ყველაზე ცნობილი ქართველი და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი გახდა. მისმა კოლეგამ როდიონ შჩედრინმა ყანჩელი დაახასიათა „ასკეტად, რომელსაც მაქსიმალისტის ტემპერამენტი ჰქონდა“. ყანჩელის მუსიკაში გარინდება და სილამაზე ერთმანეთს ერწყმის, რომელიც დროდადრო ფეთქდება და დამანგრეველი ექსპრესიული ეფექტი აქვს,“ — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციის ავტორის თქმით, გია ყანჩელის მუსიკა დასავლეთის აუდიტორიამ 1992 წელს მიუნხენის სტუდია „ისიემ ნიუ სერის“ ჩანაწერებით გაიცნო. საუბარია ყანჩელის ნაწარმოებზე „ქარის ნაგლოვი“ — ლიტურგია ალტისთვის ორკესტრის თანხლებით, რომელიც კიმ კაშკაშიანმა შეასრულა დენის რასელდეივისის დირიჟორობით“.

„ყანჩელმა მუსიკა დაწერა ისეთი ცნობილი შემსრულებლებისთვის, როგორებიცაა ვირტუოზი ვიოლინჩელისტი მსტისლავ რასტროპოვიჩი, თანამედროვეობის ლეგენდარული მევიოლონე გიდონკრემერი, ალტისტი იური ბაშმეტი, გერმანელი დირიჟორი კურტ მაზური და ამერიკული „ქრონოსკვარტეტი,“ — წერს „გარდიანი“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ გია ყანჩელს კონსერვატორიაში ჩაბარება სტრავინსკის „კურთხეული გაზაფხულის“ მოსმენამ შთააგონა.

„ყანჩელი კონსერვატორიის კოლექტივს 1970 წელს შეუერთდა (იმავე წელს ყანჩელმა დაწერა მეორე სიმფონია) და უკვე ერთი წლის შემდეგ რუსთაველის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი გახდა. ამ თეატრში მან 20 წელი გაატარა. სწორედ აქ დაინტერესდა ყანჩელი თეატრისა და კინოს მუსიკით: მან მუსიკა 40-ზე მეტი კინოფილმისთვის დაწერა. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის „მიმინო“ და „ქინ-ძა-ძა“. — ნათქვამია ბრიტანული გამოცემის სტატიაში.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ყანჩელმა აღიარებული მუსიკალური ნაწარმოებები ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაწერა, მათ შორის არის სასულე კვინტეტი და კონცერტი ორკესტრისთვის, რომელიც 1961 წელს შექმნა.

„ამ უკანასკნელმა მწვავე კრიტიკა გამოიწვია, რადგან ნაწარმოებში ყანჩელის ჯაზისადმი მძაფრი ინტერესი ჩანდა, რასაც საბჭოთა ხელისუფლება დასავლური კულტურის საშიშ ნაწილად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, გია ყანჩელმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მაინც მიიღო,“ — ნათქვამია პუბლიკაციაში.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ გია ყანჩელმა 1967-1986 წლებში შვიდი სიმფონია დაწერა. მეოთხე სიმფონიისთვის 1976 წელს ყანჩელმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს ნაწარმოები ორი წლის შემდეგ იური ტემირკანოვმა აშშ-ში შეასრულა.

„საბჭოთა კავშირის გარდაქმნის შემდეგ, ყანჩელის მუსიკა საერთაშორისო აუდიტორიას სულ უფრო მეტად იზიდავდა. ეს კიდევ უფრო გაძლიერდა, 1992 წელს, როდესაც ყანჩელი სამოქალაქო ომით მოცული საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გადავიდა, სადაც ის გერმანიაში და ბელგიაში ცხოვრობდა. მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში იყო ხმაურიანი პრემიერები ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, თუმცა ყანჩელს სამშობლოდან გახიზვნის გამო სინანული თან ახლდა და ეს გამოჩნდა ყანჩელის კონცერტში „Abii ne viderem“ (მე შევტრიალდი, რომ არ დამენახე),“ — წერს „გარდიანი“.

სტატიის ავტორის თქმით, „მოგვიანებით ყანჩელის მუსიკამ უფრო თავისუფალი ფორმა მიიღო.“

„ის ერიდებოდა აბსტრაქტულ სახელწოდებებს, როგორიცაა სიმფონია, კონცერტი, კვინტეტი. მიუხედავად იმისა, რომ მან მხოლოდ ერთი ოპერა დაწერა, ყანჩელს მოსწონდა ხმებისა და სოლო ინსტრუმენტების შერწყმა, ისე როგორც ეს არის 1990-იანი წლების ნამუშევრებში, მაგალითად „დიპლიპიტო“ და „სტიქსი,“ — წერს „გარდიანი“.

ბრიტანული გამოცემის სტატიაში ნათქვამია, რომ 1990-1995 წლებში ყანჩელმა არაერთი რელიგიური ნაწარმოები დაწერა. ხოლო 2010 წელს მიუნხენის სტუდიამ გამოუშვა გია ყანჩელის ალბომი, რომელიც ქართველი კომპოზიტორის მიერ მუსიკისა და თეატრისთვის დაწერილ 20-მდე ნაწარმოებს აერთიანებს.

გია ყანჩელი 2019 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა. კომპოზიტორი, მისი სურვილის შესაბამისად, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲚᲐᲓ ᲡᲣᲚᲡ ᲓᲐᲐᲩᲜᲓᲔᲑᲘᲡ...

ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲯᲐᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚ ᲚᲔᲥᲡᲡ ᲬᲐᲕᲐᲬᲧᲓᲘ...

ᲩᲔᲛᲝ ᲯᲐᲜᲡᲣᲚ!

30 სექტემბერს 88 წლის გახდებოდი, ჩვენი და ლუიზა — 86-ის, ხოლო მე ვარ 83 წლის. სამივენი ერთსა და იმავე დღეს გავჩნდით!

დედამ გაგვაჩინა საეკლესიო კალენდრით თავის და შენი ბებიაქალის დაბადების დღეს (დედა პისტი, ბებიაქალი — აღათი). ეს რომ ჩვენს უწმინდესს ვუთხარით, მან ხელები ზეცად აღაპყრო და წარმოსთქვა — თქვენს გაჩენაში ღვთის ხელი ურევიაო...

ეს წერილი აი, რამ დამაწერინა:

გუშინ ვიყავი ჩვენს მეგობარ ოთარ გაბელაშვილთან, მას სახლში კედელზე გამოკრული აქვს ცნობილი პოეტების ლექსები, მათ შორის ჩარჩოში ჩასმული შენი ლექსი ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი მიძღვნილი. ამით პასუხი გაგიცია ერთი უმადური კაცისთვის, რომელსაც ბიძინაზე უთქვამს, რას აქებთ მაგ სოფლელსო!!!

საუბედუროდ, ეს ის ქართველია, რომელსაც მოსწონს სიმღერა — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ და „თუ გამაჩინე, კიდეც მარჩინე“...

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲯᲘᲛᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘ

აი, ეს ლექსიც:

საოცარია სოფელი, —
წუთისოფლისა სწორფერი.
სოფლის შვილია ილია,
აკაკიც სოფლის შვილია.
სოფელში გაჩნდა ვაჟა და
ქალაქში გაილაჟვარდა.
ღმერთმან მიხედა იმ არეს,
დიახაც, სწორედ ინება,
ყველა წყარო და მდინარე
სოფლიდან მოედინება.
ის ვერ იქნება ამ მიწის,
ვინც სოფლის ფასი არ იცის.
ქაჯებო, სოფელს ნუ ჩაგრავთ,
სოფლის ქებაა მზის ქება,
ვაჰმე, სოფელი თუ ჩაკვდა,
ქალაქი აღარ იქნება.
გაფრინდა რისხვის წამი და
უცებ, არწივი მოფრინდა,
ახლა არ მითხრათ საიდან, —
საიდანა და — სოფლიდან.

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

(სოფლიდან მოფრენილ არწივში ბიძინა ივანიშვილი იგულისხმება).

* * *

ᲠᲐᲢᲝᲛᲓᲐᲪ შენი ერთსტროფიანი ლექსიც გამახსენდა, რომელიც ასევე ცნობილ პიროვნებას მიუძღვენი, რომელსაც ძალიან უყვარდა „მოსწავლე-ახალგაზრდობა“ და ერთ ლარად ართმევდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობას, რაც შეთანხმებული იყო მაშინდელ პრეზიდენტთან და ქალაქის მერთან. შენ დარაზმე მთელი ინტელიგენცია: ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გია ყანჩელი, რობერტ სტურუა, ათეულობით თბილისის შესანიშნავი შვილი და სასახლე გადაარჩინეთ!

მითქვამს ერთხელ, მითქვამს ასჯერ
და კვლავ გავიმეორებ,
თქვენთან წოლა იკრძალება
თქვენნაირი რომ არ გაჩნდეს მეორე...

* * *

...ᲯᲐᲜᲡᲣᲚ და ლუიზა, ძალიან მიყვარხართ და მენატრებით.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲐ — ᲯᲘᲛᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ,
რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, შრომის წითელი დროშის, მეგობრობისა და ღირსების ორდენების კავალერი.

P.S. 1994 წელს ამიერკავკასიის ჟურნალისტთა კავშირის თავკაცის გივი ფაცურიას თაოსნობით გამოიცა წიგნი „ასი თბილისელი“, რომელშიც პირველ „გმირად“ შენ იყავი დასახელებული. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგანაც 15 წელიწადი საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი იყავი. აი, ჩემი სახელის ამ წიგნში მოხვედრა კი (47-ე ნომრად!) მეც გამიკვირდა, რადგანაც ღირსეულ თბილისელთა წოდებას, ჩემი აზრით, სხვები უფრო იმსახურებდნენ...

ახლა, როცა ამქვეყნად შენ აღარ ხარ, ჩემო ჯანსულ, საოცრად მიხარია, რომ იმ კარგ წიგნში მეც წარმომაჩინეს!

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲛᲐ ᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲓᲐ... ᲘᲢᲘᲠᲐ

ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲛᲐ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲛᲐᲜ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲰᲘᲢᲘ „ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲢᲘᲠᲘᲚᲘ“ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ.

ეტლში მჯდომმა მამუკა ჩარკვიანმა ცრემლები ვეღარ შეიკავა და სიმღერის დროს ატირდა. გადავსებული დარბაზი სოლიდარობის ნიშნად მომღერალს ფეხზე წამოუდგა და მხურვალე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

The Washington Times

გიორგი გახარიას რთული გზა ელოდება, ამ გზის გავლის უნარი აქვს, რისთვისაც თავისი ერის, ევროპის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის მხარდაჭერა დასჭირდება

„ვაშინგტონ თაიმსში“ აშშ-ის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკის უესლი (უეს) მარტინის სტატია გამოქვეყნდა სათაურით – „საქართველოს საკვანძო მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკური სტრატეგიების მიმდინარე გადათამაშებაში“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ევროპასა და აზიაში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური სტრატეგიების გადათამაშება, ხოლო ამ თავსატეხის გაბნეული ფიგურები კავკასიაში იყრის თავს, მათ შორის სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

– აქ კი საქართველოს საკვანძო მნიშვნელობა აქვს. ქვეყანა წარმოადგენს მოვლენების ეპიცენტრს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უფრო მეტი დევს ფსონზე, ვიდრე ოდესმე. ჩინეთის ამბიციური „სარტყელის და გზის“ ინიციატივა მთელ ევრაზიას მოიცავს, ხოლო რეგრესის გზაზე მყოფი რუსეთი ცდილობს, მიუერთდეს ჩინეთის დინამიზმს და ამავე დროს, არ დათმოს ჰეგემონია პოსტსაბჭოთა სივრცეში. ცენტრალური აზია რეფორმების გზით ადასტურებს თავის ეკონომიკურ პოტენციალს, ხოლო თურქეთი „ეთამაშება“ ახალ ხედვებს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ არაევროპულ მომავალში.

ჩინეთიც და რუსეთიც, ამერიკაც და ევროპაც – ყველა ეძებს სტაბილურობის განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის და სტრატეგიული უპირატესობის მიღწევის გზებს. ყველა ეს ტრაექტორია კი, თავს იყრის კავკასიაში, სადაც ყველა წამყვანი მოთამაშე ცდილობს, დაიკავოს პოლიტიკური გავლენის და ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებისთვის ხელსაყრელი პოზიცია, სადაც ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძები ერთმანეთს კვეთს“, – აღნიშნულია სტატიაში.

ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ინარჩუნებს პოზიციებს სპარსეთის ყურესა და ავღანეთში, ყოფილი საბჭოთა რეგიონები, მათ შორის კავკასია და ცენტრალური აზია, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება.

„ვაშინგტონის ურთიერთობები სომხეთსა და აზერბაიჯანთან დღესაც გართულებულია 1988 წელს დაწყებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო. მეორეს მხრივ, პროდასავლური საქართველო, ისრაელთან ერთად, წარმოადგენს ამერიკის ყველაზე ერთგულ და სანდო მეგობარს და მოკავშირეს ფართო რეგიონში.

კავკასიაში განლაგებული საქართველო წარმოადგენს სახმელეთო ხიდს ევროპასა და აზიას, შავ და კასპიის ზღვებს შორის. ათასწლეულების განმავლობაში ქვეყანამ გადაიტანა სპარსელების, ოსმალების, რუსებისა და მონღოლების შემოსევები და ყოველ ჯერზე, ქართველები იგერიებდნენ მჩაგვრელებს“, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო კიდევ ერთხელ აღდგა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არამდგრად, ფეთქებად გარემოში.

– საქართველოს სათავეში უდგას სტაბილური და დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან კავშირების განსამტკიცებლად, განსაკუთრებით ბოლო წლებში, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ გზაზე სვლა შესაბამის უნარებს და სიზუსტეს მოითხოვს.

11 სექტემბრის მოვლენებზე ამერიკის პასუხის და ერაყში საომარი მოქმედებების მხარდაჭერის მიზნით, საქართველომ ავღანეთსა და ერაყში 3500 მებრძოლი გააგზავნა.

2008 წელს კი, რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და დაიკავა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი დღესაც ოკუპირებულია რუსეთის მიერ, – წერია „ვაშინგტონ თაიმსის“ სტატიაში.

ავტორს ოკუპაციასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას სიტყვები მოჰყავს.

„სწორედ ამაზე მიუთითებდა გიორგი გახარია სექტემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნისას: „საქართველოს ეკონომიკის 20 პროცენტი არის ოკუპირებული, ქვეყნის განვითარების პოტენციალის 20 პროცენტი არის ოკუპირებული, ქვეყნის ადამიანური კაპიტალის 20 პროცენტი არის ოკუპირებული – ამაშია ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე დიდი მუხრუჭი“.

გახარიამ ასევე მკაფიოდ დაადასტურა, რომ აშშ საქართველოს უახლოესი მოკავშირეა და რომ საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის გაძლიერება მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია.

ახალ თანამდებობაზე გახარია შთამბეჭდავი ბიოგრაფიით მოვიდა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ბიზნესში, მათ შორის ავიაკომპანია „ლუფტჰანზაში“, ხოლო შემდეგ მოვიდა პოლიტიკაში და დაინიშნა ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე. შემდეგ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის, ასევე ეკონომიკის და შემდეგ – შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე. იგი ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს რეფორმების განხორციელებას ანგარიშვალდებულების, ღიაობის და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

მისმა წარმატებულმა საქმიანობამ ეკონომიკის სექტორში მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ბოლო ინდექსში საქართველო მე-6 ადგილს იკავებს, ხოლო ხელისუფლების ეფექტიანობის და კორუფციასთან ბრძოლის კატეგორიებში საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნისას ბატონმა გახარიამ თავის კომენტარებში ასევე მოუწოდა არსებული ფორმატების „ჭკვიანურად და რაციონალურად“ გამოყენებისკენ რუსეთთან ურთიერთობებში და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან მიმართებაში. გახარია აცნობიერებს, რომ ღია სამხედრო კონფრონტაცია რუსეთთან კატასტროფულ შედეგებს მოიტანს. მას ასევე ახსოვს, რომ სამხედრო ინტერვენციას რუსეთის მხრიდან წინ უძღოდა კიბერშეტევა, რომელმაც გაანეიტრალა საქართველოს მთავრობა და ფინანსური ინსტიტუტები.

გახარიას აქვს საკმარისი გამოცდილება და უნარი, რათა გაუძღვეს საქართველოს ევროკავშირისა და ნატოსკენ მოსკოვის პირდაპირი პროვოცირების გარეშე. რუსეთი წარმოადგენს უმთავრეს, თუმცა არა ერთადერთ პრობლემას უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუკი მდგომარეობა რეგიონში არ შეიცვალა, მხოლოდ დროის საკითხია, რომ აშშ-ის სხვა მოწინააღმდეგეებმა რეგიონში ყურადღება საქართველოზე გადაიტანონ“, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორი მიუთითებს, რომ 1400-ზე მეტი წლის განმავლობაში საქართველომ გამოზარდა დიდი ლიდერები, რომლებიც ერთ მუშტად კრავდნენ ქვეყანას და კრიტიკულ მომენტში ამარცხებდნენ მტერს.

ასევე სტატიის ავტორი ქვეყნის შიდა დაპირისპირებებზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ შიდა დაპირისპირებები საფრთხეს უქმნის სტაბილურობას.

„იმავე დროის განმავლობაში საქართველოს გადატანილი აქვს შიდა დაპირისპირებები, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას. დღესაც შიდა ბრძოლა დომინირებს ქართულ პოლიტიკაში და ძირს უთხრის ეროვნულ უსაფრთხოებას.

გიორგი გახარიას რთული გზა ელოდება წინ. მას ამ გზის გავლის უნარი შესწევს, თუმცა ამას დრო დასჭირდება და ამისთვის თავისი ერის, ევროპის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა დასჭირდება“, – აღნიშნულია „ვაშინგტონ თაიმსში.“

ტრამპი თურქეთს ეკონომიკის განადგურებით ემუქრება

შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თურქეთს ეკონომიკის დანგრევით დაემუქრა, თუ „ანკარა დაშვებულ ზღვარს გადავა“. ამის შესახებ ტრამპი მიკრობლოგ „ტვიტერზე“ წერს.

„როგორც ადრე მტკიცედ ვაცხადებდი, ახლაც გავიმეორებ, თუ თურქეთი ისეთ რამეს გააკეთებს, რაც ჩემი შეუდარებელი სიბრძნით, ზღვარგადასული იქნება, მთლიანად გავანადგურებ და დავანგრევ თურქეთის ეკონომიკას, როგორც ეს ადრე გავაკეთე“, – დაწერა ტრამპმა მიკრობლოგ **Twitter**-ში.

ტრამპის მუქარა მას შემდეგ გაისმა, რაც თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარა მზად არის დამოუკიდებლად ჩაატაროს სამხედრო ოპერაცია თავის საზღვართან, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც თურქეთი და აშშ თავდაპირველად უსაფრთხოების ზონის შექმნაზე შეთანხმდნენ. ერდოღანს მიაჩნია, რომ ამერიკის ხელისუფლებამ თავისი დაპირება არ შეასრულა. დამოუკიდებელი სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ თურქეთის ლიდერმა 1 ოქტომბერს განაცხადა. ხუთი დღის შემდეგ ის ტელეფონით ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტს, რომლის შედეგების მიხედვით, თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს თურქეთის ხელისუფლების მოქმედებებს სირიის ჩრდილოეთით. ამ რეგიონში განლაგებულია ქურთთა ძალები, რომლებიც აშშ-ის მოკავშირეები არიან, თურქეთი კი მათ ტერორისტებად მიიჩნევს.

პუტინს და მედვედევს ხელფასი გაეზარდათ

2019 წლის 1 ოქტომბრიდან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევს ხელფასი გაეზარდათ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, გეგმური ინდექსაციის ფარგლებში პუტინს და მედვედევს ანაზღაურება 4,3%-ით გაეზარდათ. შესაბამის ბრძანებას პუტინმა მოაწერა ხელი.

გარდა ამისა, ხელფასები გაეზარდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის, დაცვის ფედერალური სამსახურის, საგარეო დაზვერვის სამსახურის, რუსეთის გვარდიის, გენერალური პროკურატურისა და საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელებს.

„სავარაუდოდ, ხაზარაძე პოლიტიკაში მიდის საკუთარი ბიზნესის დასაცავად, ან...“

(მესამე გვერდიდან)

— ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ნულპროცენტიანი ბარიერის შემთხვევაში, ხაზარაძეს არ გაუჭირდება, შევიდეს პარლამენტში. 2020 წლის არჩევნებზე ხაზარაძე იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ჩაანაცვლებს „ნაციონალურ მოძრაობას“ და უკვე ამომრჩეველი იხილავს საარჩევნო დაპირისპირებას „ოცნებასა“ და „ლელოს“ შორის? მით უმეტეს არის „ევროპული საქართველო“, რომელსაც ყოფილი პრეზიდენტი უპირისპირდება...

— ამ მხრივ ძალიან საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. მიშა აკრიტიკებს „ევროპულ საქართველოს“, ბიძინა უპირისპირდება ხაზარაძეს. ძალიან უცნაური პოლიტიკური კვარტეტი ჩამოყალიბდა. ამიტომ ვამბობ, ველოდი, ხაზარაძე უფრო მკვეთრი და გამბედავი იქნებოდა. არა იმით, რომ „ცქიტიშვილი კარგ ხაჭაპურებს აცხობს“, ან მთავრობა არ ვარგა, არამედ ექნებოდა პოლიტიკური

განაცხადი. ჯერჯერობით რაც ჩანს, პოლიტიკაში მისმა შემოსვლამ ამომრჩეველში არანაირი მოლოდინი არ გააჩინა. ელექტორატში როგორი განწყობაც იყო, ინდეფერენტული პოლიტიკური სპექტრისადმი ისევე დარჩა.

შესაბამისად, იმის თქმა, რომ ხაზარაძე ნაციონალებს ჩაანაცვლებს, გამორიცხულია. ლაპარაკია იმაზე, „ევროპულ საქართველოს“ თუ ჩაანაცვლებს თავისი რეიტინგით და წონით. იქნება ის „ევროპული საქართველოს“ თანაფარდი ძალის პოლიტიკური ორგანიზაცია? — ეს არის ხაზარაძის პრობლემა დღეს.

ხაზარაძის შემოსვლა პოლიტიკურ ველზე არც მოულოდნელი იყო და არც ეფექტიანი. თავიდანვე, როცა განაცხადა, რომ აპირებს ახალი გუნდის შემოყვანას და ძველი სახეები არ უნდა, ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ხაზარაძე ხელისუფლებისთვის კი არ იბრძვის, არამედ იბრძვის რაღაცა სეგმენტის მოსაპოვებლად. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკაში მიდის საკუთარი ბიზნესის დასაცავად, ან მოდის პოლიტიკაში, რომ არჩევნების შემდეგ იყოს კოალიციაში. უფრო მეტად, ალბათ, ივანიშვილთან, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს დაპირისპირებული მხარეები არიან?

— რა თქმა უნდა. ხაზარაძის პოლიტიკაში შემოსვლით არ იგრძნობა იმის სურვილი, რომ ის იბრძვის ძალაუფლების ხელში ასაღებად. შესაბამისად, ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, ხაზარაძის ნადავლი იქნება 5%-მდე, დაახლოებით ისეთივე, როგორიც იყო 2016 წელს ბურჭულაძისა, რომელიც უფრო მკვეთრად და მკაფიოდ შემოვიდა პოლიტიკაში, ვიდრე ხაზარაძე. ამიტომ არანაირ ჩანაცვლებაზე ლაპარაკი არ არის.

ასეთი ნაბიჯების შემდეგ, რაც ხაზარაძემ გადადგა, ძალიან ძნელია, ივარაუდო, რომ ოპოზიციაში მესამე ფლანგში გახდება ლიდერი პოლიტიკური ორგანიზაცია. არის ორი პოლუსი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე არის ამომრჩევლის მესამე ნაწილი, რომელსაც არც ერთი უნდა და არც მეორე, თუ გავითვალსწინებთ 2016 წლის არჩევნებს, მესამე ნაწილს იკავდებდა „ევროპული საქართველო“. დღესდღეობით ხაზარაძის სამიზნე შეიძლება იყოს მხოლოდ „ევროპული საქართველოს“ ელექტორატის მოზიდვა. სხვა მხრივ, ის ვერც „ოცნებას“ დაუპირისპირდება და ვერც „ნაცმოძრაობას“ — ამის რესურსი არა აქვს. მაქსიმუმი, რაც დღეს ჩანს და რაც იკვეთება ხაზარაძის პოლიტიკაში მოსვლით, ეს არის ფარდობა „ევროპულ საქართველოსთან“. ესეც შეიძლება ჩემი მხრიდან საკმაოდ თამამი განცხადება იყოს ხაზარაძის პოლიტიკურ მომავალზე, შესაძლოა, ესეც არ იყოს.

— ანუ, ხაზარაძე ვერ გახდება მესამე პოლიტიკური ძალა?

— უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ხაზარაძის მიერ შექმნილი ორგანიზაცია ვერ იქნება მესამე პოლიტიკური ძალა. ამ ეტაპზე ასე ჩანს და არც მოლოდინია იმისა, რომ რაღაცა შეიცვლება. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბურჭულაძისადმი უფრო დიდი მოლოდინი იყო საზოგადოებაში, ვიდრე ხაზარაძისადმი არის. ხაზარაძეს უარყოფითი შლეიფი შემოჰყვა ბიზნესიდან, ამიტომ გაცილებით პრობლემურია, ვიდრე ბურჭულაძის გამოჩენა პოლიტიკურ ველზე.

— თუმცა დღეს ამომრჩეველი გაცილებით გაღიზიანებულია „ქართულ ოცნებაზე“ და „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ვიდრე ეს იყო 2016 წელს...

— ამომრჩევლის ეს გაღიზიანება და ნეგატიური დამოკიდებულება კომპენსაციას უკეთებს ხაზარაძეს ბიზნესიდან წამოყოლილ უარყოფით შლეიფს, მაგრამ დანარჩენი უკვე დამოკიდებული არის ხაზარაძეზე, რომელმაც თავიდანვე უარყოფითი გზა აირჩია, როცა განაცხადა, რომ პოლიტიკოსების გარეშე მინდა პოლიტიკაო, ეს არის შეცდომა. უცნობთა არმია ვერ გაიმარჯვებს, გამორიცხულია. ხაზარაძეს არა აქვს არანაირი დადებითი ქარიზმა, უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი.

ეს ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინა და უნდა გაერკვია, სხვა როგორ აღიქვმადა მას. ეს არის შეცდომა და მე მაშინ ვთქვი, რომ ხაზარაძის და ივანიშვილის შედარება არ შეიძლება, გნებავთ ქარიზმით, გნებავთ ლეგენდით. მიუხედავად ამისა, 2012 წელს ივანიშვილს რომ არ შეეკრა ის გუნდი, რომელიც შეკრა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არჩევნებს ვერ მოიგებდა. მესამე ძალის გაჩენა ნიშნავს, რომ ეს ორი ძალა ცოტა უკან დახიო და ამით თავიდან აიცილო ხისტი დაპირისპირება პოლიტიკურ ძალთა შორის. კარგია, თუ შეძლებ და უკან დახევ ამ პოლიტიკურ ძალებს, მაგრამ ამისთვის სხვა რამეა საჭირო და არა ის, რასაც ხაზარაძე აკეთებს.

თამთა ქარჩავა

ახალი მოდელის საბაგიროები ბაკურიანში

როგორ ხვდება ზამთრის კურორტები მოახლოებულ სეზონს

ბაკურიანში კეთდება აბსოლუტურად ახალი მოდელის საბაგიროები, ეს არის 6-ადგილიანი სავარძლის ტიპის საბაგირო, საათში საბაგიროს გამტარუნარიანობა 1600 კაცია. ეს რიცხვი მომავალში საჭიროების მიხედვით გაიზრდება. **აქამდე ბაკურიანში, პრაქტიკულად, არც ერთი საბაგირო არ იყო ამ მოცულობებზე გათვლილი,“** — მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი **თამაზ გამცემლიძე** ზამთრის სეზონის მოახლოებასთან ერთად „კომერსანტთან“ ზამთრის კურორტებზე დაგეგმილ და მიმდინარე სამუშაოებზე საუბრობს.

თამაზ გამცემლიძის თქმით, ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბაკურიანში ზამთრის სეზონისთვის მზადებასთან ერთად 2023 წლის სათხილამურო და სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, საქართველო თხილამურსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა.

„წლევანდელ სეზონს ბევრი სიახლით შევხვდებით. ბაკურიანში 3 საბაგიროს მშენებლობაა დაწყებული, ასევე დაბას დაემატება სასრიალო ზონები. 2020 წლის ზამთრისთვის კი მომზადებული გვექნება მსოფლიო ჩემპიონატისთვის სასრიალო ტრასები. ნოემბრის თვეში ველოდებით გამარჯვებული კომპანიის გამოვლენას, რომელიც ბაკურიანის ხელოვნურ გათოვლიანებას და წყლის რეზერვუარის პროექტირებას უზრუნველყოფს. პროექტი გულისხმობს ხელოვნური გათოვლიანებისთვის ორი წყლის რეზერვუარის მოწყობას და ხელოვნური გათოვლიანების სისტემის პროექტირებას როგორც ახალ არეალში, ასევე კოხტა-მიტარბის ტერიტორიაზე, — ამბობს გამცემლიძე.

მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა ზამთრის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით გუდაურში დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა.

თამაზ გამცემლიძის განცხადებით, გუდაურში იგეგმება ანტისაზვავე სისტემების მოწყობა. ასევე 5 ოქტომბრიდან საბაგიროს ადრეული აბონიმენტების გაყიდვა ფასდაკლებებით დაიწყება „თბილისი მოლში“ და „აქსის თაუერში“. გამცემლიძის ინფორმაციით, წლევანდელ სეზონზე დიდი მოლოდინები აქვთ მთის კურორტებზე ვიზიტორების რაოდენობის თვალსაზრისით.

მარიამ მორგოშია

რამდენ მილიონად გაიყიდა ტუბდისპანსერის ტერიტორია და შენობა აბასთუმანში?!

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა კომპანიამ **შპს „სანაპიროს ხედი“ აბასთუმანში ყოფილი ტუბდისპანსერის ტერიტორია და შენობა, ასევე მიმდებარე ორი ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, 3 540 000 ლარად შეიძინა.**

შპს „სანაპიროს ხედის“ 100 %-იანი დამფუძნებელი 2008 წელს ოფშორში დარეგისტრირებული **კომპანია ს/ს ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელია.**

შპს „სანაპიროს ხედის“ საკუთრებაა ერეკლე მეორის მოედანზე „ქართული ოცნების“ ოფისის გვერდით მდებარე 794 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიც. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევის მიხედვით, ეს ტერიტორია „პანორამა თბილისის“ პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ტუბდისპანსერის შენობა და ტერიტორია სახელმწიფომ ელექტრონულ აუქციონზე 2019 წლის 1 თებერვალს გაიტანა, ქონება 15 დღეში გაიყიდა. საერთო ჯამში, აბასთუმანში, ფალიაშვილის 40 ნომერში და მის მიმდებარედ, გაყიდულია არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამი ნაკვეთი, საერთო ფართობით 23 585 კვ.მ.

შეძენიდან 1 თვეში 25-მა პაციენტმა საავადმყოფო ეტაპობრივად დატოვა. 22 მარტს კი შენობა საბოლოოდ დაიხურა და მალევე დაინგრა. ნაგებობების დემონტაჟისა და მიწის ნაკვეთების დეზინფექციის შემდეგ, საპრივატიზაციო მოთხოვნის შესაბამისად, ყოფილი ტუბდისპანსერის ადგილას სასტუმრო და ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო.

ნანა ბიგანიშვილი

◎ ჩოგბურთი

კვლავ მოიგო

სეზონის ბოლოსწინა „მასტერსზე“, რომელიც ჩინეთის ქალაქ შანხაიში იმართება, მეორე წრე დაიწყო. ამ ეტაპზე ქართველი ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე მსოფლიოს 23-ე ჩოგანი, ფრანგი ბენუა პერი იყო. მათი შეხვედრა საათსა და 40 წუთს გაგრძელდა და ქართველმა სამ სეტში გაიმარჯვა — 6:4, 1:6, 6:1.

პირველ პარტიაში მეტოქეებს თითო ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ. ჯერ ეს შანსი პერის გაუჩნდა მეორე გეიმში და ვერ გამოიყენა, ბასილაშვილმა კი მეშვიდე გეიმში მიიღო ასეთივე შესაძლებლობა და ის ხელიდან არ გაუშვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა პირველი სეტის მოსაგებად.

საინტერესოა, რომ მეორე ხელში ქართველ ჩოგბურთელს ფრანგზე მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ 1:6 განადგურდა. პერიმ პირველი ბრეიკი მეოთხე გეიმში შეასრულა. მომდევნო გეიმში ბასილაშვილმა სამი ბრეიკ-პოინტი გაანიავა და უკუბრეიკი ვერ შეასრულა, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება და შემდეგ ფრანგმა სეტზე ჩააწოდა.

მესამე პარტიის პირველი გეიმი ბასილაშვილმა საკუთარ მოწოდებაზე მოიგო, მეორე გეიმში 30:30-ზე კი მატჩი წვიმის გამო შეწყდა. პაუზა დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა. თამაშის განახლების შემდეგ ნიკამ ზედიზედ ორი ქულა აიღო და ბრეიკი შეასრულა. ამ ხელში ქართველს ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდა — მის გეიმებში ბრძოლა პრაქტიკულად არ იყო, სეტის მიწურულს კი ნიკამ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და მატჩზეც ჩააწოდა.

ბასილაშვილის მეტოქე მერვედფინალში მეოთხე ნომრად განთესილი დომინიკ ტიმისა და ესპანელი პაბლო კარენო ბუსტას დუელში გაირკვევა.

გეჟან დოლიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ბორჯღალოსნებმა“ - შევაკვდებითო!

2019 წლის მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნები“ დასკვნით შეხვედრას 11 ოქტომბერს, თბილისის დროით 14:15 საათზე ავსტრალიის წინააღმდეგ გამართავენ.

გუნდი უკვე შიზოკაშია და მომავალი მატჩისთვის იქ ემზადება. მანამდე „მსოფლიო რაგბი“ „ბორჯღალოსანთა“ კაპიტან მერაბ შარიქაძეს განვლილი და მომავალი თამაშების შესახებ ესაუბრა:

იგი ფიჯისთან მარცხით გულდაწყვეტილია, თუმცა, გუნდს გადაწყვეტილი აქვს, რომ მსოფლიო თასი თავაწეულმა დატოვოს.

შარიქაძის თქმით, ფიჯისთან მტკივნეული მარცხის შემდეგ გუნდი მზადაა „მოკვდეს“ ავსტრალიასთან მატჩში. იაპონიაში მიმდინარე მსოფლიო თასზე მან პირველად იბრძოლა სასტარტო XV-ში და ამბობს, რომ ეს თამაში მისი ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო:

„ყველა მოთამაშეს და, განსაკუთრებით მე, გვრცხვენია ჩვენი გულშემატკივრის და ოჯახების, რადგან ისინი სულ სხვა რამეს ელოდნენ, მაგრამ საბოლოო ანგარიში მხოლოდ დასკვნითი 20 წუთის სურათს ასახავს და არა სრულის. იყო მომენტები, რომელთაც შეეძლოთ ყველაფერი შეეცვალათ. ვისაც რაგბი ესმის, ისინი მიხვდებიან, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ ვერავის დავადანაშაულებთ, ეს ყველა ჩვენთაგანის ბრალია“.

ტურნირზე საქართველოს ნაკრების მიზანი იყო, რომ იაპონიაში ორი შეხვედრის მოგებით საფრანგეთის მომავალი მსოფლიო თასის ავტომატური კვალიფიკაცია მოეპოვებინა. მას კიდევ დარჩა ერთი შეხვედრა — 11 ოქტომბერს ავსტრალიასთან:

„ჩვენი რეპუტაცია ძლიერ შეილახა და ამის გამოსწორების ერთადერთი საშუალება არსებობს - კარგად ვითამაშოთ ავსტრალიასთან. შევაკვდებით, რადგან ახლა დასაკარგი აღარაფერი გვაქვს, კუთხეში ვართ მიმწყვდეული და მხოლოდ წინსვლა შეგვიძლია“.

კობა კობახიძე

◎ მემორიალი

რჩეულთა კვარტეტი

გამოვლინდნენ დუდუ დადიანის მემორიალის ნახევარფინალისტები. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩის დასრულებამდე გაურკვეველი იყო, თუ ვინ გავიდოდა და როგორ დაწყვილდებოდა ნახევარფინალში. თსუ-სა და „ქუთაისის“ შეხვედრამ ყველაფერი დაალაგა, მანამდე კი „კაკტუსმა“ „რუსთავს“ 98 : 90 სძლია და ფავორიტად მიჩნეული ქვემოქართლური გუნდი ჯგუფში ჩატოვა.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა „კაკტუსმა“ მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. პირველ ტურში „დინამოსთან“ ბოლო წუთზე წაგების შემდეგ კაკტუსელებმა ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრისა და კანდიდატის, ასევე მარჯვე ლეგიონერების მყოლ „რუსთავს“ 8 ქულით სძლიეს და ჯგუფიდან გასვლის გზაზე მოზრდილი ნაბიჯი გადადგეს. „კაკტუსს“ 1 ქულით მეტით რომ მოეგო, ჯგუფში პირველ ადგილს და ნახევარფინალის საგზურს გაინაღდებდა, თუმცა, ეს ვერ შეძლო და „დინამოსთან“ პირადი მარცხის გამო მეორე ადგილს დასჯერდა.

ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში თსუ „ქუთაისს“ შეხვდა. იმერლებს ნახევარფინალში გასასვლელად მინიმუმ 13 ქულით მოგება სჭირდებოდათ, თუმცა, 9 ქულით — 70:79 აქეთ დამარცხდნენ. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილები ტურნირზე ჯერჯერობით ყველაზე ეფექტურად თამაშობენ. მათ გუნდში დებიუტი ჰქონდა ამერიკელ რიკი მედისონს, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა, საუკეთესო კი, პირველი შეხვედრის მსგავსად, გიორგი ტურძილაძე გახდა 20 ქულით. გიორგი კორსანტიამ შეხვედრა 19 ქულით და 8 მოხსნით დაასრულა.

თსუ-მ პირველ ადგილზე გასულთა შორის უმჯობესი შედეგი აჩვენა და ნახევარფინალში მეორეადგილოსან „კაკტუსს“ შეხვდება, რომელმაც პლეი-ოფის საგზური საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსის მოპოვებით მოახერხა. მეორე ნახევარფინალში “ბათუმი“ და „დინამო“ დაწყვილდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

გუშინ სასტუმრო „ჰუალინგში“ სპეციალურად ქართული სამსაჯო კორპუსისთვის VAR სისტემის სამდღიანი სემინარი გაიხსნა, რომელშიც კრისტალბეთ ეროვნული ლიგისა და კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის 30 არბიტრი და 5 ინსტრუქტორი მონაწილეობს. სამი დღის განმავლობაში სასწავლო კურსის მსმენელნი ფიფას ინსტრუქტორისგან დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ VAR სისტემის შესახებ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მუშაობს VAR სისტემის საქართველოში დანერგვაზე და აღნიშნული სემინარი სწორედ ამ პროექტის ნაწილია.

* * *

ძაზანის „რუბინის“ ქართველი შემტევი ზურიკო დავითაშვილი რუსეთის პრემიერლიგის მე-12 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ჩვენებურის თამაში Instat Index-მა და Match Premier-მა გამოარჩია. გარდა ამისა, დავითაშვილი, „რუბინის“ გულშემატკივართა აზრით, „ტამბოვთან“ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

ქართველმა ხმების 62% მიიღო, მეორე ადგილზე გასულ იგორ კონოვალოვს კი მხოლოდ 6% ერგო.

შეგახსენებთ, რომ დავითაშვილმა „რუბინის“ მაისურით სადებიუტო გოლი გასულ შაბათს გაიტანა.

* * *

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში სოლომონ კვირკველიამ ადგილი დაკარგა. ჩვენებურს იური სიომინი აღარ სწყალობს და უკვე კარგა ხანია მის უთამაშებლობას ხან რას მიაწერს, ხან - რას.

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალთან“ შეხვედრაში „ლოკომოტივს“ მოედანზე სამი ცენტრალური ჰყავდა — ბენედიქტ ჰოიევდესი და ვედრან ჩორლუკა დაცვის ცენტრში, ხოლო მურილიო ხორკერა (რომელიც ცენტრალური მცველია — **რედ**) საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ირჯებოდა. პირველ ტაიმში რკინიგზელთა გერმანელმა მცველმა ტრავმა მიიღო და სიომინმა შესვენებაზე შეცვალა.

ჰოიევდესის ნაცვლად მოედანზე თადარიგში მყოფი ერთადერთი ცენტრალური მცველის (კვირკველია) ნაცვლად საყრდენი ნახევარმცველი სტანისლავ მაკეევი გამოჩნდა. შედეგად, ჩორლუკას მურილიო შეუწყვილდა.

ნამატჩევს სწორედ ამ ცვლილების შესახებ ჰკითხეს რუს სპეციალისტს, რომელსაც საკმაოდ უცნაური პასუხი ჰქონდა — დასვენება სჭირდებოდაო:

„კვირკველია არ შევიდა, რადგან დასვენებისთვის დრო სჭირდებოდა. ახლა საქართველოს ნაკრებში ითამაშებს, პრაქტიკას იქ მიიღებს და გუნდში ამის შემდეგ მოხვდება“, — თქვა სიომინმა.

სხვათა შორის, გამოცდილი დამრიგებელი დაახლოებით თვენახევრის წინაც მსგავს კომენტარს აკეთებდა და ამბობდა, რომ სოლომონი ჯერ მზად არ იყო. არადა, რუსეთის პრემიერლიგის პირველი ტურიდან მოყოლებული (უკვე 12 ტური მიილია), ჩვენებური სათადარიგო სკამზე ზის და, როგორც წესი, ტრავმირებული ფეხბურთელები განაცხადში არ შეჰყავთ.

ქართველმა მცველმა მიმდინარე სეზონში ერთადერთ მატჩში ითამაშა და ისიც ყველაზე უმნიშვნელოში, რუსეთის თასზე, 120 წუთი, პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში კი მოედანზე არ გამოჩენილა.

* * *

ლონდონის „ტოტენჰემის“ კაპიტან უგო ლორისის რეაბილიტაციის პერიოდი ცნობილია. როგორც „მამლების“ ვებ-გვერდი იტყობინება, ფრანგი მეკარე 2019 წელს მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს.

ლორისმა ხელის უმძიმესი ტრავმა პრემიერლიგის ბოლო ტურში „ბრაიტონთან“ მატჩში მიიღო. როგორც გაირკვა, უგო მოედანზე 2020 წლის იანვარში შეძლებს დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა კიპერმა „ბრაიტონთან“ მატჩის დასაწყისში სერიოზული დაზიანება მაშინ მიიღო, როდესაც ბურთის ხელში დაუფლებას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო — გოლიც გავიდა და ლაზარეთშიც აღმოჩნდა.

* * *

კატალონიის „ბარსელონას“ მცველმა ჟერარ პიკემ „სევილიასთან“ შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო და მომავალ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

მან ანდალუზიელებთან 85-ე წუთზე გაფრთხილება ბურთის გადაგდებისთვის დაიმსახურა და მიიჩნევენ, რომ ეს განზრახ გააკეთა. ესპანელმა იცოდა, რომ ყვითელი ბარათის შემთხვევაში „ეიბართან“ დაპირისპირებას გამოტოვებდა და „რეალთან“ მატჩში მონაწილეობის საკითხს რისკის ქვეშ არ დააყენებდა, რადგან მომდევნო შეხვედრაში ყვითელი მას ავტომატურად „ელ კლასიკოს“ გამოტოვების ფასად დაუჯდებოდა.

თუმცა, არაა გამორიცხული, პიკეს ფანდი არ გაუვიდეს და განზრახ მიღებული გაფრთხილების გამო უფრო მკაცრად დასაჯონ, როგორც, მაგალითად, შარშან სერხიო რამოსი ჩემპიონთა ლიგაზე.

პიკეს მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 8 თამაშში 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა, „ელ კლასიკო“ კი 26 ოქტომბერს „კამპ ნოუზე“ გაიმართება.

გიორგი შოთაძე

„თბილისობა“ ოკეანის მიღმა, ნიუ-იორკშიც იზეიმეს

ქართველობა იკრიბება და მეც მიწვევენ, უარს არასდროს ვამბობ. ჩემს ქართველ მსმენელთან ერთად ვზეიმობთ შემოდგომის ფესტივალს. ჩემთვის „თბილისობა“ ასო-

„თბილისობა“ ნიუ-ორკშიც აღვნიშნეთ. უამრავი ქართველი შეიკრიბა. ტრადიციულად გამოფენა-გაყიდვა, ქართული ტრადიციების ხაზგასმა იყო და ზეიმი, რომელიც ამ დღესასწაულს თან ახლავს, საკმაოდ ლამაზად ჩატარდა. აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ ფონდ „მსოფლიო ტალანტების“ პრეზიდენტმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, მსოფლიო დონის საოპერო მომღერალმა, ბარიტონმა ДАВИТ ДЗИНИАНИДЗЕ თბილისობაზე მისი გამოსვლა, ლეგენდა გია ყანჩელს მიუძღვნა“, — განუცხადა „2020NEWS“-ს ლელა ნინუამ.

მისივე თქმით, მისთვის „თბილისობა“ ასოცირდება ტივზე მოსეირნე ყარაჩოღელებთან და ქართულ მრავალხმიანობასთან.

„თბილისობის“ ტრადიციას ხელოვანები აქაც ვაგრძელებთ, გამონაკლისი არც მე ვარ. სადაც ჩემი ცირდება ტივებით ამაყად და ლაღად მოსეირნე ყარაჩოღელებთან, კინტოებთან, ქართულ მრავალხმოვანებასთან. მიხარია, როცა არ იკარგება ტრადიციები და ყველაზე უმთავრესს — ურთიერთობებს არ ვივიწყებთ, რადგან ყველას გვახსოვს, რომ თბილისი იყო ურთიერთობა — ეს არის ცხოვრებაშიც მთავარი. „თბილისობა“ ასევე უდიდესი სიყვარულია ტრადიციების მიმართ, პატივისცემაა წინაპრების, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს ღირებულებები. რამდენიმე დღის წინ უდიდეს ხელოვანს გამოვეთხოვეთ, ის ეკუთვნის სრულიად სამყაროს თავისი სიდიადით, ჩემი გამოსვლაც სწორედ მას, გია ყანჩელის შემოქმედებას მივუძღვენი“, — განაცხადა დავით ღვინიანიძემ.

ოკეანის მიღმა ქართველმა ემიგრანტებმა „თბილისობა“ 6 ოქტომბერს აღნიშნეს.

ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ამსახველი გამოფენა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა 11 ოქტომბერს 16:00 საათზე გაიხსნება.



ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგის, პედაგოგის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს ეროვნული გმირის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ საქართველოს ეროვნული არქივი მრავალფეროვან და მდიდარ მასალას ინახავს.

ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ცენტრალური არქივის, დღევანდელი ეროვნული არქივის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. 2020 წელს არქივის დაარსებიდან 100 წლის იუბილე აღინიშნება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ისევე, როგორც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქივო ფონდებში ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ დაცული მასალა საზოგადოებისათვის გამოფენის ფორმატში პირველად იქნება წარდგენილი.

დამთვალიერებელს საშუალება ექნება, იხილოს ანჩისა და კალმახის ციხის სახარებები, რომელთა მოძიება თაყაიშვილის სახელს უკავშირდება.

გამორჩეულია საარქივო მასალა, რომელიც ასახავს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ქართული საგანძურის დაცვისა და მოძიების საქმეში ექვთიმე თაყაიშვილის წვლილს.

გამოფენა 10 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება. დათვალიერება თავისუფალია.

ახალი საწარმო სენაკში

სენაკში, მშვიდობის ქუჩა №96-ში თხილის და სხვა კაკლოვანების გადამამუშავებელი საწარმო აშენდა, რისთვისაც 1 700 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა და 30 ადამიანი დასაქმდა.

საწარმოს ასაშენებლად შპს „ნათს ელი“-ს ელექტრონულ აუქციონზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან 22705 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული, წლების მანძილზე ამორტიზებული, შენობა-ნაგებობები 435 000 ლარად საინვესტიციო ვალდებულებებით გადაეცა, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით კომპანიამ 1 500 500 ლარის შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა.

შპს „ნათს ელი“ უკვე რამდენიმე წელია, წარმატებულად ოპერირებს თხილის ბაზარზე. კომპანია ადგილობრივი მოსახლეობისგან ყოველწლიურად 3000-5000 კგ. თხილს იბარებს, ამუშავებს და ევროპის ქვეყნებში ყიდის.

თბილისი ერთი წლით წიგნის მსოფლიო დედაქალაქი იქნება

თბილისი 2021 წელს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი გახდება. გადაწყვეტილების შესახებ იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულეიმ განაცხადა.

სტატუსის მოსაპოვებლად თბილისის მერიამ და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ განაცხადი საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მხარდაჭერით მიმდინარე წლის მაისში წარადგინეს.

თბილისს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში (იუნესკო) რეკომენდაცია გაუწია წიგნის მსოფლიო დედაქალაქის საკონსულტაციო საბჭომ. ის მიზნად ისახავს ახალ თაობებში წიგნის კითხვის გლობალური მასშტაბით წახალისებას.

სადღესასწაულო ღონისძიებები სტარტს 2021 წლის 23 აპრილს, წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს აიღებს. პროგრამის ფარგლებში გაიმართება წიგნის ფესტივალები, წიგნის კითხვის დღეები, წიგნზე დაფუძნებული ციფრული თამაშები და ბევრი სხვა. ასევე იგეგმება პირველი ქართული გამოცემის აღდგენა.

თბილისი რიგით 21-ე ქალაქია, რომელმაც ეს სტატუსი მოიპოვა. 2001 წლიდან მოყოლებული, საპატიო სტატუსს ბევრი სხვა ქალაქი ფლობდა, მადრიდიდან დაწყებული (2001), კუალალუმპურით დამთავრებული (2020).

დიდ დიღომში სპორტული სივრცე მოეწყო

დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №1 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მულტიფუნქციური სპორტული სივრცე მოეწყო. პროექტის ფარგლებში, გარე გამოყენების სხვადასხვა სახეობის ფიტნეს ტრენაჟორები 600 კვ.მ ფართობზე დამონტაჟდა.

სპორტული სივრცე საბურთალოს რაიონის გამგებელმა გაიოზ ვასაძემ, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ავთანდილ ცინცაძესთან და ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ ლაშა ტალახაძესთან ერთად დაათვალიერა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით, ორ ლოკაციაზე მოეწყო თანამედროვე მულტიფუნქციური სპორტული სივრცე, ერთი დიდ დიღომში, მეორე კი ცინცაძე-კარტოზიას დამაკავშირებელ სატრანსპორტო კვანძთან, რომლითაც მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს. ასეთი სივრცეები საქართველოში პირველად მოეწყო. ჩვენ მომავალშიც ვეცდებით, მოსახლეობას შევთავაზოთ რაც შეიძლება მეტი სიახლე და სხვადასხვა თანამედროვე პროექტები განვახორციელოთ“, — განაცხადა საბურთალოს რაიონის გამგებელმა გაიოზ ვასაძემ.

წლეულს ტურიზმიდან შემოსავალმა 1.5 მილიარდ დოლარს მიაღწია

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წლის იანვარ-ივნისის (I-II კვარტალი) პერიოდში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 1.5 მილიარდ დოლარს (ზრდა +7%), რაც 95 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

იანვარ-ივნისის მონაცემებით, ტურიზმის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში შეადგინა 7.7%, ზრდა წინა წელთან შედარებით +19.7%-ია.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციაშია აღნიშნული, 2019 წლის აპრილ-ივნისის (II კვარტალი) პერიოდში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 878 მილიონ დოლარს (ზრდა +8.4%), რაც 68 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აპრილ-ივნისის მონაცემებით, ტურიზმის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში შეადგინა 8.2%. ზრდა წინა წელთან შედარებით +23.6%-ია.

ბაგრატიონები ქონებას ისევ ვერ იყოფენ

PORSCHE CAYENNE-სა და Used Mercedes-Benz GL-ის შემდეგ, **ამჯერად სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი BMWX5-ია. ეს ავტომობილი პირველმა ინსტანციამ საკუთრებაში დავით ბაგრატიონ-მუხრანელს დაუტოვა, თუმცა ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მიაჩნია, რომ სამივე ავტომობილი უნდა გაიყონ.**

აღნიშნულ საქმეზე სხდომა გუშინ გადაიდო, სააპელაციო სასამართლომ მხარეებს მორიგებისკენ მოუწოდა, თუმცა ჯერ უცნობია, შეძლებენ თუ არა ამას ოჯახის წევრები. რაც შეეხება იმ მიმართულებით დავას, თუ რომელი „უფრო ბაგრატიონია“, ამ თემაზე ისტორიკოსები სასამართლოს აკრიტიკებენ და განმარტავენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა სწორედ სასამართლოს ჰქონდა, თუმცა მან ეს თავიდან აირიდა.

მხარეებს შორის დავის საგანი 2013-2015 წლებში შეძენილი სამი ავტომობილი იყო. სასამართლომ მაისში ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და დავით ბაგრატიონ-მუხრანელის სამეფო ქორწილი, პატრიარქის ინიციატივით, 2009 წელს სამებაში გაიმართა. წყვილი ოფიციალურად 2016 წელს განქორწინდა.

შვედეთის მეფემ ხუთ შვილიშვილს სამეფო ტიტული ჩამოართვა

შვედეთის მეფემ კარლ XVI გუსტავმა ხუთ შვილიშვილს სამეფო ტიტული ჩამოართვა. ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „ბიბისი“ ავრცელებს.

მეფის გადაწყვეტილების მიხედვით, ბავშვები ამიერიდან არ იქნებიან ვალდებული, სამეფო ოჯახის მოვალეობები შეასრულონ. მედიის ცნობით, ისინი კვლავ სამეფო ოჯახის წევრები იქნებიან და ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ტიტულებს შეინარჩუნებენ. მეფის ეს გადაწყვეტილება პრინც კარლ ფილიპის ორ შვილსა და პრინცესა მადლენის სამ შვილს ეხება. ამასთან, ბავშვები ერთიდან ხუთ წლამდე ყოველწლიურ თანხასაც ვერ მიიღებენ.

მულენ რუჟი 130 წლისაა

პარიზში ანრი დე ტულუზ-ლოტრეკის ნამუშერების გამოფენა გაიხსნა. ამის შესახებ Euronews-ი იუწყება. სწორედ ლოტრეკის ნახატების წყალობით ხელოვნების მოყვარულებმა მე-19 საუკუნის პარიზის თეატრალური მხარე იხილეს. ექსპოზიცია პარიზის დიდ დარბაზში გასული 30 წლის განმავლობაში პირველად გამოფინეს. ის მულენ რუჟის 130 წლისთავს ეძღვნება. მით უფრო, რომ სწორედ ლოტრეკი იყო პირველი, ვინც მულენ რუჟის კაბარესთვის აფიშებს ხატავდა.

ირანში ფეხბურთის მატჩებზე ქალების დასწრების უფლებას აპროტესტებენ

თეირანში, საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ შეიკრიბა ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ფეხბურთის მატჩებზე ქალების დასწრების უფლებას აპროტესტებენ. იტყობინება „რადიო თავისუფლების“ ირანის ბიურო.

აქციის მონაწილეები, რომელთა შორის ქალებიც არიან, საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციის (FIFA) წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან სწორედ FIFA-ს მოთხოვნით გახდა იძულებული ირანის ფეხბურთის ფედერაცია, რომ ქალებისთვის გამონაკლისი დაშვებულიყო, რათა მათ შესძლებოდათ დასწრებოდნენ ფეხბურთის მატჩებს.

მიუხედავად იმისა, რომ ირანში ქალების ფეხბურთის მატჩებზე დასწრების ამკრძალავი საკანონმდებლო ჩანაწერი არ არსებობს, ბოლო 40 წლის განმავლობაში, ირანის სასულიერო მმართველობის მიერ, ქალებს ეს უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ.

წელს, FIFA-ს ზეწოლის შემდეგ, ირანის ხელისუფლება დათანხდა 10 ოქტომბერს დანიშნული საფეხბურთო მატჩის, ირანსა და კამბოჯას შორის, ბილეთები ქალებისთვისაც მიეყიდათ. აღსანიშნავია, რომ ქალებისთვის გამოყოფილი 3500 ბილეთი რამდენიმე წუთში გაიყიდა.

სექტემბერში ახალგაზრდა ქალმა ირანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, როდესაც ის, აკრძალვის მიუხედავად, ცდილობდა საფეხბურთო მოედანზე შეეღწია.

FIFA ირწმუნება, რომ იგი გააგზავნის დელეგაციას ირანში, რათა დარწმუნდეს, რომ მთავრობა შეასრულებს თავის დაპირებას და ნებას მისცემს ქალებს, უგულშემატკივრონ ფეხბურთელებს.

მსოფლიოში ტურისტებით ყველაზე დატვირთული ადგილები

კვლევითი კომპანია Columbus Direct-ის ექსპერტებმა ის ადგილები დაასახელეს, რომლებსაც ყველაზე მეტად სტუმრობენ და ტურისტებით დატვირთულია. სრული სია ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სპეციალისტებმა რეიტინგი დღეში ერთ კვადრატულ მილზე ტურისტების რაოდენების მიხედვით შეადგინეს. როგორც გაირკვა, ყველაზე დატვირთული ადგილი ტაილანდის კუნძული პჰუკეტია, სადაც ერთ კვადრატულ მილზე 5 000 ვიზიტორი მოდის.

მეორე ადგილზეა ესპანეთის ქალაქი პალმა დე მაიორკა, მესამე ადგილს კი ასევე ტაილანდის ქალაქი პატაია იკავებს.

მეოთხე ადგილზე პარიზი აღმოჩნდა. ათეულში ასევე მოხვდნენ ბარსელონა, კუალა-ლუმპური, მილანი, ოსაკა, სინგაპური და ნიუ-იორკი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9677; ევრო - 3.2571;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6547;
100 რუბლი - 4.5687; თურქული ლირა - 0.5169;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7456;
1000 სომხური დრამი - 6.2229.

ამინდი 9 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge